ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 26 აგვისტო, 2011 №202 (5582 ) ფასი: 30 თეთრი

## ილია II ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიას მოინახულებს

გვ.6



# „დასავლეთი სააკაშვილის დემოკრატიულ შეცვლას უჭერს მხარს“



გვ.3

2912 წელს რა შემადგენლობის იქნება პარლამენტი, ამაზეა დამოკიდებული, 2913 წელს ვინ იქნება პრეზიდენტი, როგორი იქნება საქართველოში ხელისუფლება, როგორ განვითარდება ჩვენი ქვეყნის საგარეო პრიორიტეტები, როგორი იქნება ჩვენს ქვეყანაში ბიუჯეტის გადანაწილების საკითხი, ბიუჯეტი ხალხისთვის იქნება თუ ისევ მმართველი ელიტის ფუფუნებისთვის გამოყოფილი, ეს ყველაფერი უნდა გადაწყდეს 2912 წელს.



გვ.4

## „სააკაშვილს უნდა, ინგლისური სახელმწიფო ენად გამოაცხადოს“

## „მოვუწოდებ ალასანიას, აღარ შეხვდეს ბოკერიას!“



გვ.2

## გიორგი ახვლედიანი: „აფხაზეთის ე.წ. არჩევნებში ის გაიმარჯვებს, ვინც რუსეთის ინტერესებს დააკმაყოფილებს“



გვ.5



## ცოტნე გამსახურდია სტრასბურგის სასამართლოში ჩივის

გვ.4



გვ.5 

## „ვინ გახდება აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი, მნიშვნელობა არ აქვს“

## საბავშვო ბაღებში რეგისტრაცია სოციალურად დაუცველმა ბავშვებმა ვერ შეძლეს

გვ.6



## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**2** ქაცარავამ სამუშიას ბრალდებები უარყო

**6** ზურაბ ტყემალაძე: „ჩვენი კანდიდატი თელაველებისთვის ცნობილი სახე იქნება“

**5** მამუკა არეშიძე: „ქართულ მხარესთან თანამშრომლობაზე ყველა ფიქრობს“

**6** ონიშჩენკო: ქართული პროდუქცია რუსეთის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაბრუნდება

შედით საიტზე atb.ge

# „მოვუწოდებ ალასანიას, აღარ შეხვდეს ბოკერიას!“

ქეთი ხომერიკი

**რას სთავაზობს კულტურის მინისტრს ნიკოლოზ რურუას მანჯავიძე, ვინ არის მთავარი იდეოლოგი იმ ტრაგიკომიკური ფარსისა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, რა მოთხოვნებით დაიწყება შემოდგომიდან აქციები და რას მოუწოდებს ალასანიას მანჯავიძე? ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას" წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი, ისტორიკოსი სოსო მანჯავიძე ესაუბრა.**




სოსო მანჯავიძე:

— სააკაშვილს რუსთაველის თეატრის, ქართული კულტურის ერთ-ერთი საყრდენის დანგრევა უნდა. გარდა ამისა, სააკაშვილი ავტორიტეტებს ყოველთვის ებრძოდა და ეს მოხდა რობერტ სტურუას შემთხვევაშიც, რომლის სიტყვასაც უდიდესი წონა ჰქონდა, აქვს და მუდამ ექნება. სად იყო სტურუას განცხადებებში ქსენოფობია? ქსენოფობიურ განცხადებებს სწორედაც რომ სააკაშვილი აკეთებს.

*— როდის გააკეთა სააკაშვილმა ქსენოფობიური განცხადება, რომელ გამონათქვამს გულისხმობთ?*

— სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, აფხაზები და რუსები მონღოლოიდური რასის წარმომადგენლები არიანო. აი, ეს არის ქსენოფობიისა და რასიზმის კლასიკური მაგალითი. რაც შეეხება რობერტ სტურუას საკითხს, იცით, რომ მსახიობებმა სოლიდარობა გამოიჩინეს და იმ შემთხვევაში, თუ მაესტრო არ დაბრუნდება თეატრში, ისინიც არ დაბრუნდებიან. თქვენი გაზეთის მეშვეობით, მინდა შევთავაზო კულტურის მინისტრ ბატონ ნიკოლოზ რურუას ასეთი რამ: ვინაიდან რუსთაველის თეატრს აღარ ჰყავს არც სამხატვრო ხელმძღვანელი და არც დასი, ხოლო ბოლო პერიოდში მიხეილ სააკაშვილმა გამოამჟღავნა რეჟისორობის საოცარი ნიჭი, ვგულისხმობ, მის რევოლუციურ სპექტაკლს „ქეთოს და კოტეს“ (ხომ ვიცით, რომ ეს მისი დადგმულია) რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნოს ბატონი მიხეილ სააკაშვილი. და ვინაიდან დასმა უარი განაცხადა თეატრში დაბრუნებაზე, ახალი დასი შექმნას და ახალი დასი უნდა დაკომპლექტდეს იმ 70 დეპუტატისგან, რომელმაც ხმა მისცა კანონს რელიგიური კონფესიების შესახებ. სოლისტებად კი ბატონ აკაკი მინაშვილს, ბატონ პალიკო კუბლაშვილსა და ქალბატონ ჩიორა თაქთაქიშვილს ვთავაზობ. აი, ეს იქნება ბრწყინვალე, ჯერაც არნახული დასი. უგულავა, ბოკერია და რაც მთავარია, რამიშვილი აუცილებლად უნდა მიიწვიონ დრამატურგებად და მათი პიესები უნდა დაიდგას. მაინც მათ პიესებს დგამენ ქვეყნის მასშტაბით და მომხრე ვარ იმისა, რომ ამან დახვეწილი თეატრალიზებული სახე მიიღოს. ვფიქრობ, ეს წინადადება ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს.




*— მხოლოდ ბოკერია-რამიშვილის დუეტი დგამს პიესებს ქვეყნის მასშტაბით?*

— რამიშვილ-ბოკერიას და მთლიანად თავისუფლების ინსტიტუტის დრამატურგიით არის დადგმული ის ტრაგედია, რომელიც დღეს საქართველოში ტრიალებს. დიახ, ეს მათი დრამატურგიაა. ეს ხომ მათი მახინჯი მსოფლმხედველობის მიხედვით დაწერილი სცენარია, ამიტომაც ვთავაზობ ბატონ ნიკოლოზ რურუას, თეატრალიზებული ფორმა მისცეს ამ ყველაფერს და მავნებლობის თეატრი დაარქვას.

*— თქვენ ჩვენთან საუბრისას ირწმუნებოდით, რომ ზოგიერთი ოპოზიციური ძალა ბოკერიას „ეფლირტავება“, რა ხდება ამ მხრივ? ახლა მაინც დაგვისახელეთ, კონკრეტულად რომელ ოპოზიციონერს გულისხმობდით.*

— ჩემი დასახელება რად უნდათ ამ ოპოზიციონერებს? ვინც ბოკერიას ხვდება და კონსტრუქციულ ძალად მიიჩნევს, ზუსტად ის ჯდება ამ დრამატურგიაში.

*— ცნობილია, რომ ალასანია ბოკერიას რამდენჯერმე შეხვდა, ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე სასაუბროდ... ე.ი. ალასანიას გულისხმობთ?*

— მოვუწოდებ ირაკლი ალასანიას, ნუღარ შეხვდება ბოკერიას. ერთს ვიტყვი, ეშმაკთან თამაში შეუძლებელია, რადგან ეშმაკი თვითონ არის თამაშის გამომგონებელი, ესენი კი ეშმაკები არიან, პირდაპირ გეუბნებით. არ მგონია, რომ ალასანია მათთან ერთად რაიმეს გეგმავდეს. ალასანია პოზიტიური განწყობის ადამიანია და ჰგონია, რომ სხვაც პოზიტიური განწყობის ადამიანი შეიძლება იყოს. თავისუფლების ინსტიტუტს ხომ სახე არ აქვს, ისინი აბსოლუტურად კომპრომიტირებულნი არიან და ამიტომ უნდათ, რომ გააზავონ თავიანთი შავი ფერი შედარებით ნათელი ფერებით. კრავის ქურქში გადაცმული მგლების მარადიული ისტორია გრძელდება. აქვე გეტყვით, კიდევ ხვდებიან ოპოზიციონერები ბოკერიას თუ არა, არ ვიცი, ამის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ. თუმცა მაშინდელი შეხვედრების დროს რომ მიდიოდა მათ შორის მოლაპარაკებები, ეს დანამდვილებით ვიცი.

*— მაინც რა მოლაპარაკებები მიდიოდა მათ შორის, რას გეგმავდნენ?*

— არ შეიძლება იმ დანაშაულობებზე, რომელიც საქართველოში მოხდა, ვინმეს ჰქონდეს იმუნიტეტი. ნურავის ეგონება, რომ ვიღაცას მოელაპარაკება და ყველაფერი შერჩება. ყველა ფიქრობს, როგორ ჩაანაცვლოს ხელისუფლება. აგერ მოდის შემოდგომა და ყველაფერი გამოჩნდება, მეტს ვერაფერს გეტყვით. ჩვენ, „წინააღმდეგობის მოძრაობას“, გვინდა, ეროვნული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ერთობა, ცენტრი ჩამოყალიბდეს, რომელიც შემოიკრებს გარშემო იმ ძალებს, რომლებიც ხელისუფლების მიმართ შეურიგებლად არიან განწყობილნი. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ვგულისხმობ ეუთოს, მოხდეს ამომრჩეველთა სიების დაზუსტება. ასევე საჭიროა, უზრუნველვყოთ მშვიდობიანი მასობრივი მანიფესტაციების კულტურის დამკვიდრება ქვეყანაში. მასობრივი აქციები უნდა დაიწყოს რევოლუციური რიტორიკის გარეშე და აქციები უნდა გაიმართოს უფლებრივი მოთხოვნის მიზნით. დიახ, სოციალურ-უფლებრივი მოთხოვნებით, რაც გამოიწვევს რეჟიმის საძირკვლების გამოცლას.

რამდენიმე კვირაში საინფორმაციო ველი მნიშვნელოვნად გამდიდრდება, სხვადასხვა ადამიანები მუშაობენ ამ საკითხზე. ამის შესახებ მალე გაიგებთ. და, რაც მთავარია, საჭიროა ერისა და ბერის გაერთიანება, რაც მალე მოხდება. თქვენ დაინახავთ, რომ მრევლის თვითორგანიზება მოხდება, რომელიც უფლებრივი მოთხოვნებით გამოვა ქუჩაში.

*— ეს თქვენი აზრია, თუ ამის შესახებ რაიმე კონკრეტულ ინფორმაციას ფლობთ?*

— დამერწმუნეთ, ასე მოხდება. რა თქმა უნდა, მაქვს კიდევაც ინფორმაცია, რომ უამრავ სამრევლოში უამრავი ადამიანი თვლის, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ისინი აღშფოთებულები არიან იმით, რაც ხდება ქვეყანაში.

*— იმის თქმა გინდათ, რომ შემოდგომიდან მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყება?*

— რა თქმა უნდა, დაიწყება. თქვენი აზრით, სააკაშვილი და ეს ბანდა მარადიულნი არიან? არა. ობიექტური და სამართლიანი არჩევნები გაიმართება მხოლოდ მაშინ, თუ მოხდება იმ მოთხოვნების შესრულება, რომლებზეც მოგახსენეთ. ხალხი ქუჩაში სოციალური და უფლებრივი მოთხოვნებით გამოვა ჩვენთან ერთად. ვიმეორებ, ჯერ უნდა დადგინდეს საარჩევნო სიები და მერე უნდა ვისაუბროთ არჩევნებზე.

*— „ოპოზიციური რვიანი“ თვეების განმავლობაში სწორედაც რომ ამას ითხოვდა, თუმცა... „ექვსიანი“ კი დღემდე ითხოვს, თქვენ რისი იმედი გაქვთ?*

— სად ითხოვდა? ჩვენ ვერ ვხედავთ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მიმართულ აუცილებელ პოლიტიკურ მოქმედებებს.

*— და თუ ხელისუფლებამ არც თქვენი მოთხოვნები დააკმაყოფილა, შემდეგ რა ხდება?*

— ნებისმიერი პოლიტიკური მოქმედება, პოლიტიკური იძულება ლეგიტიმური იქნება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ხელს შეუშლის ხალხის დემოკრატიული უფლებების განხორციელებას. ჩვენ უნდა განვაგრძოთ სახალხო დემოკრატიული მოძრაობა პოლიტიკური უფლებებისთვის, რათა ახალ ტრაგიკომიკურ ფარსში არ გავეხვიოთ და კვლავ არ მივიღოთ ხელისუფლების განაყოფებისა და უარესი ნაწილის მოსვლა ქვეყნის სათავეში. აი, ამიტომ უნდა შეიქმნას ეროვნული ინტერესების გამომხატველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცენტრი.

*— რომელ ძალებს გულისხმობთ, ვინ ემზადება ხელისუფლების ჩასანაცვლებლად?*

— რა თქმა უნდა, თავისუფლების ინსტიტუტიდან გამოფრენილ არწივებს, იქ დაჩეკილ მართვეებსა და შემდგომ ჩვენ თვალწინ დაფრთიანებულ არწივებს ვგულისხმობ. სწორედ ისინი ამჟღავნებენ ისტერიულ აქტივობას, კვლავ ჩვეულ ამპლუაში არიან და ხლართავენ პოლიტიკურ ინტრიგებს. ამის შესახებ ვაფრთხილებ საზოგადოებას, ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ.

## სომხური მედია: საქართველოში ანტისომხური პროპაგანდისათვის ვირტუალური პორტალები არსებობს

საქართველოში არსებობს ვირტუალური პორტალები, რომლებიც ანტისომხური პროპაგანდის გავრცელებისაკენ არის მიმართული, — იუწყება „პანარმენიან.ნეტ“.

წყაროს ცნობით, ეს განცხადება ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე ექსპერტმა ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხებში სამუელ მარტიროსიანმა გააკეთა.

„აზერბაიჯანი ქართულ მასმედიასა და ვირტუალურ პორტალებს, როგორც პლატფორმას, ანტისომხური პროპაგანდის გავრცელებისათვის ხშირად იყენებს“, — აღნიშნა სამუელ მარტიროსიანმა.

მისი მოსაზრებით, ამ ფაქტისათვის დიდი ყურადღების დათმობა არ ღირს, რადგანაც მას ფართო მასშტაბებისათვის ჯერ არ მიუღწევია.

წყაროს ცნობით, ანტისომხური პროპაგანდის გავრცელების ერთ-ერთი ბოლოდროინდელი მაგალითი სომეხ ბლოგერებსა და ქართულ მასმედიას შორის მომხდარი კონფლიქტი იყო. მიმდინარე წლის მარტში ІთV.გე-მ გამოაქვეყნა მასალა იმაზე, თუ როგორ მიმართეს სომეხმა ბლოგერებმა ევროკომისიას ჯავახეთის ტერიტორიაზე ავტონომიის შექმნაში დახმარების გაწევის თხოვნით. ამის საპასუხოდ ქართულ პრესაში სომხების შეურაცხყოფისა და მუქარის კამპანია აგორდა.

„ამასთან თუკი ქართულ ინტერნეტტელევიზიებში პოლიტიკური კორექტურობა მინიმალურად მაინც იყო დაცული, ანალიტიკური სტატიების კომენტარებში ქართველი მომხმარებლები ფაშისტურ ლოზუნგებსაც არ იშურებდნენ“, — იუწყება „პანარმენიან.ნეტ“.

მედიანიუსი

## ქაცარავამ სამუშიას ბრალდებები უარყო




თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ საკრებულოს „ქრისტიან-დემოკრატი“ დეპუტატის, ჯაბა სამუშიას ბრალდებები უარყო.

ლაპარაკია საბავშვო ბაღებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. კერძოდ, ჯაბა სამუშიას ინფორმაციით, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსული ბავშვები მუნიციპალურ ბაღებში რეგისტრაციას ვერ ახერხებენ და სარეზერვო სიებში რეგისტრირდებიან.

ქაცარავას თქმით, საბავშვო ბაღებში უფასო მომსახურება სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასახმარებლად ხორციელდება. იმ ბენეფიციართა განცხადებებს, რომელთაც საბავშვო ბაღების სააგენტოში რეგისტრაცია გარკვეული მიზეზებით ვერ მოახერხეს, დედაქალაქის მერია ინდივიდუალაურად განიხილავს. საბავშვო ბაღებში უფასოდ ისწავლის სოციალურად დაუცველი ყველა ის ბავშვი, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა 200.000-ზე ნაკლებია.

„საბავშვო ბაღებში რეგისტრაცია 2 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები საბავშვო ბაღებში მოხვდნენ. ჩვენ განვაცხადეთ, რომ თუ რომელიმე ოჯახმა დარეგისტრირება გარკვეული მიზეზით ვერ მოახერხა, მის საკითხს დამოუკიდებლად განვიხილავთ და მათ დამატებით სიებში შეიყვანენ“, — აღნიშნა მამუკა ქაცარავამ და დასძინა, რომ მსგავსი დახმარებით მერიისათვის არავის მიუმართავს.

ქაცარავას ინფორმაციით, წელს საბავშვო ბაღებში უფასოდ დაახლოებით 15-16.000 სოციალურად დაუცველი ბავშვი ივლის. სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე ოჯახებს კი ყოველთვიურად დაახლოებით 30-50 ლარის გადახდა მოუწევთ.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „დასავლეთი სააკაშვილის დემოკრატიულ შეცვლას უჭერს მხარს“

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან

***— ბატონო ზვიად, ეს ზაფხულიც მიილია. რამდენად არის მზად ოპოზიცია შემოდგომიდან პროცესების გააქტიურებისათვის და რით იქნება ეს შემოდგომა განსხვავებული წინა შემოდგომებისგან?***

— ვერ გეტყვით, რამდენად იქნება განსხვავებული, თუმცა პოლიტიკურ კოალიციას აქვს სერიოზული გეგმები და ჩვენი პროგრამა, რომ მილიონი მხარდამჭერის მობილიზება დავიწყოთ, უკვე შემოდგომიდან აქტიურ ფაზაში უნდა შევიდეს. ამ ამბიციური გეგმის განხორციელებას სჭირდება სერიოზული პოლიტიკური აქტიურობა. შემოდგომიდან ვაპირებთ ასეთი ტიპის ღონისძიებების დაწყებას, რაც გულისხმობს მოსახლეობასთან შეხვედრას, კარდაკარ პროგრამების ჩატარებას, პოლიტიკური თემების წინ წამოწევას, თუ საჭირო იქნება, აქციებისა და საპროტესტო ღონისძიებების ორგანიზებას და ასე შემდეგ.

***— საპროტესტო აქციებისთვისაც მზად ხართ?***

— ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. ასეთი გათავხედებული ხელისუფლება არ მახსოვს რევოლუციის პირველ წლებშიც კი. ეს ყველაფერი გამომდინარეობს იქიდან, რომ ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ მას უკვე ყველაფრის უფლება აქვს მოპოვებული, იმდენად ჰყავს ოპოზიცია დასუსტებული. საზოგადოება თვითონაც კარგად ხედავს ამას და ოპოზიციას სჭირდება საზოგადოების სერიოზული მხარდაჭერა და ამისთვის ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ.

***— ექსპერტები ამბობენ, ხელისუფლება იმიტომ არის ასეთი თავხედი და აგრესიული, რომ ოპოზიციასთან ყველა ფრონტზე მოიგო ბრძოლაო.***

— ფაქტია, რომ ოპოზიცია არ არის პრაქტიკულად თანმიმდევრული თავის მოქმედებებში. არის მუდმივად სპონტანურ გეგმებზე ხალხის აყოლიების მცდელობა. ისეთ ხელისუფლებასთან, როგორიც არის საქართველოში, სპონტანური გეგმებით ფონს ვერ გახვალ. საჭირო არის თანმიმდევრული, მიზანმიმართული საქმიანობა, ყოველდღიური საქმიანობა და პოლიტიკური კოალიცია სწორედ ამაზე გამოთქვამს მზადყოფნას და ამ მიმართულებით ვაპირებთ მუშაობას. ის, რომ ოპოზიციას ხელისუფლება ხშირად ჩაგრავს, ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული. ოპოზიციას არა აქვს საშუალება ხალხთან კომუნიკაციის, ანუ ტელევიზიები, რომლებიც მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ფუნქციონირებენ, ხელისუფლების სამსახურში არიან. ოპოზიციას არ გააჩნია ფული და დატერორებულია ბიზნესი. ვერც ერთი ბიზნესმენი ვერ ბედავს ოპოზიციისკენ გაიხედოს და დააფინანსოს ოპოზიციური პროგრამები და პოლიტიკური პროექტები.

2012 წელს წყდება, საქართველოს როგორი მომავალი ექნება უახლოეს 10 წელიწადში. 2012 წელს წყდება ეს ამბავი და არა 2013 წელს, როცა არის საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნული. აქ მთელი ძალების მობილიზება არის საჭირო სწორედ 2012 წლის შემოდგომისათვის, როდესაც ჩვენ ყველამ ერთად უნდა მოვახერხოთ, შევცვალოთ არსებული პოლიტიკური სიტუაცია და ის ბალანსი, რომელიცაა ქვეყანაში.




***— თქვენ ხედავთ იმის შანსს, რომ ეს ყველაფერი გაითავისოს საზოგადოებამ და უფრო მეტად აქტიური იყოს ამ არჩევნებზე?***

— ამისთვის ჩვენი ძალიან დიდი აქტიურობაა საჭირო, მთელი რესურსების მობილიზება, ერთად შეკრება, ამის გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევთ ვერანაირ ცვლილებას ქვეყანაში და მუდმივად იქნება აქ პოლიტიკური სპექტაკლები, რომელთაც ჩვენ ხელისუფლება ყოველწლიურად გვთავაზობს და რეალურად ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი იქნება სიღარიბის ზღვარზე, ან სიღარიბის ზღვარს მიღმა.

***— ბრძოლა რთული იქნება, რადგან ჩვენი ხელისუფლება არ აპირებს დათმოს სავარძლები, განსაკუთრებით კი ეს სააკაშვილს ეტყობა.***

— ურთულესი ბრძოლა გველოდება წინ და ამ ურთულეს ბრძოლაში ჩვენი ფუნქცია, პოლიტიკური ოპოზიციის არის ის, რომ სწორი გეგმა შეადგინოს და არ დააკლოს მცდელობა, რომ არც ერთი ადამიანი, რომელიც არის პოტენციურად მზად იმისთვის, რომ ცვლილებისთვის რაღაც ნაბიჯი გადადგას და თავისი აქტიურობა ჩადოს, არც ერთი ადამიანი არ უნდა დარჩეს ჩვენი ყურადღების მიღმა.

***— დასავლეთი სააკაშვილს მომავალ მმართველად აღარ განიხილავს და ეს ძალიან აშფოთებს სააკაშვილსო. როგორ ფიქრობთ, მართლაც აღარ დაუჭერენ მას მხარს?***

— სააკაშვილს ღია ტექსტებითაც, ფარული ტექსტებითაც ეუბნებიან, რომ მას პუტინის ვარიანტის განმეორების შემთხვევაში არ ექნება არავითარი მხარდაჭერა დასავლეთისაგან. ანუ თუ ის თვალში ნაცარს შეაყრის მთელ ქართველ საზოგადოებას და მთელ მსოფლიოს, იმითი, რომ ვითომ პრემიერი იქნება, გადაინაცვლებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში და რეალურად ისევ ხელში ექნება მართვის სადავეები, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ცვლილებები მოხდა. ასეთი ტიპის მესიჯები სააკაშვილთან კარგა ხანია მისულია და მომავალში კიდევ ბევრი მივა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ მშვიდად, რომ დასავლეთის დამოკიდებულება დღეს სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ არის ცალსახა, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი მხარს უჭერენ სააკაშვილის ხელისუფლების დემოკრატიულად ცვლილებას. ნაციონალური მოძრაობა რეალურად თუკი გაიმარჯვებს, უნდა გაიმარჯვოს, მაგრამ ის, რომ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდეს და ან პრემიერ-მინისტრი და ამ მანიპულაციებით მოახერხოს სადავეების შენარჩუნება, ამას დასავლეთი მხარს არ უჭერს. ანუ ის საერთაშორისო ფაქტორი, რომელიც ოპოზიციას მუდმივად ხელის შემშლელ ფაქტორად ესახებოდა წინ, დღეს აღარ არის.

***— ხომ შეიძლება მოხდეს ისეც, რომ სააკაშვილმა სულაც არ გაითვალისწინოს ეს საერთაშორისო ფაქტორი და ყველაფერზე წავიდეს?***

— კი, შეიძლება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დასავლურ სამყაროს აქვს თავისი ბერკეტები. ეს ბერკეტები ნიშნავს იმას, რომ მოხდება ისე, როგორც შევარდნაძის დროს მოხდა. მაშინ არასამთავრობო სექტორი გააქტიურდა ძალზე სერიოზულად, მაშინ მედიაში იყო გაცილებით მეტი თავისუფლება და მედიამონიტორინგის განხორციელება ახლაც დაიწყება უფრო აქტიურად და არსებობს კიდევ სხვა უამრავი ბერკეტი, რომელზეც ახლა არ მინდა ვილაპარაკო ღიად და საჯაროდ.

***— თქვენ მიგაჩნიათ, რომ 2012 იქნება გადამწყვეტი?***

— 2012 წელია გადამწყვეტი წელი და 2012 წელს რა შემადგენლობის იქნება პარლამენტი, ამაზეა დამოკიდებული, 2013 წელს ვინ იქნება პრეზიდენტი, როგორი იქნება საქართველოში ხელისუფლება, როგორ განვითარდება ჩვენი ქვეყნის საგარეო პრიორიტეტები, როგორი იქნება ჩვენს ქვეყანაში ბიუჯეტის გადანაწილების საკითხი, ბიუჯეტი ხალხისთვის იქნება თუ ისევ მმართველი ელიტის ფუფუნებისთვის გამოყოფილი, ეს ყველაფერი უნდა გადაწყდეს 2012 წელს.

***— არც ხმების ყიდვას მოერიდება ხელისუფლება და ალბათ აქაც დიდი ბრძოლა მოგიწევთ...***

— ყველას ერთად მოგვიწევს, მე მგონი. მედიასაც დიდი ბრძოლა ელის წინ, განსაკუთრებით თავისუფალი მედიის წარმომადგენლებს მოუწევთ ბრძოლა, რადგან ხედავთ, რომ ყველა მიმართულებით ხდება ადამიანების და საერთოდ ყველა სტრუქტურის მონოპოლიზება ხელისუფლების ხელში. ფოტოგრაფების საქმე სწორედ აქეთკენ იყო მიმართული, ჩვენ ვნახეთ, რა გააკეთა ხელისუფლებამ, ეს არ იყო ჯაშუშების გამოვლენის ღონისძიება, ეს იყო მედიის შევიწროების მცდელობა. ასევე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიმართაც ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ნაბიჯი, როდესაც ხელი აუქნია პრაქტიკულად საქართველოს საპატრიარქოს ხელისუფლებამ, ესეც ადასტურებს იმას, რომ თუ 2012 წელს სააკაშვილი გაინაღდებს საპარლამენტო უმრავლესობას, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს მიმართულებები, რომელზედაც ახლა მე მოგახსენეთ, კიდევ უფრო მახინჯი და აგრესიული ფორმებით იქნება მისი მხრიდან განვითარებული. გაგრძელდება მედიის დამონება, ყველა თავისუფალი სტრუქტურის შევიწროება, რასაც მოჰყვება მომავალში კიდევ ფასების ზრდა, უმუშევრობის ზრდა. რამდენადაც მძიმე მდგომარეობაში იქნებიან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, იმდენად ფუფუნებაში და განცხრომაში იქნებიან სააკაშვილები და მასთან დაახლოებული პირები. ეს არის შეუიარაღებელი თვალით დასანახი და, აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქემ იცოდეს, რომ ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, დამოკიდებული იქნება 2012 წელზე. დღეს ყველაფერი დამოკიდებულია ხელისუფლების ცვლილებაზე. საქართველო პატარა ქვეყანაა და შეუძლებელია, რომ ამ საკითხების დარეგულირება ვერ მოხერხდეს, თუკი იარსებებს პოლიტიკური ნება.

# ზურაბ ტყემალაძე: „ჩვენი კანდიდატი თელაველებისთვის ცნობილი სახე იქნება“

პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ თავმჯდომარის ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, პარტია თელავის საარჩევნო ოლქში პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს უახლოეს დღეებში წარადგენს.



ზურაბ ტყემალაძე

„მანამდე თავს შევიკავებ მისი ვინაობის დასახელებისგან. კანდიდატის წარდგენას დაახლოებით ერთ კვირაში ვაპირებთ და სწორედ მაშინ გახდება ცნობილი, ვინ იყრის კენჭს ჩვენი პარტიიდან. შეიძლება, თბილისში მას ნაკლებად იცნობდნენ, მაგრამ თელავისთვის ცნობილი სახეა და ამ ქალაქის მკვიდრია“, — აღნიშნავს ტყემალაძე.

შუალედური საპარლამენტო არჩევნები თელავში 2 ოქტომბერს არის დანიშნული. კანდიდატების წარდგენის ვადა 2 სექტემბერს იწურება.

მედიანიუსი



შედით საიტზე atb.ge



შორენა კოწოწაშვილი

# „სააკაშვილს უნდა, ინგლისური სახელმწიფო ენად გამოაცხადოს“

**ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას და პირადად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ქსენოფობიურ განცხადებებში ამხელს და გაეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ურჩევს, საქართველოს პრეზიდენტის გამონათქვამები შეისწავლოს და რეაგირება მოახდინოს.**

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი აქტიურად ილვწიან იმისთვის, რომ სახელმწიფო ენად ინგლისური იქნეს აღიარებული და ეს კონსტიტუციაშიც ჩაიწეროს.

— სააკაშვილმა საქართველოდან გააძევა რუსული ენა. სააკაშვილის მიერ ჩადენილი ქმედებები არის არამარტო ქსენოფობიური, არამედ ფაშისტურიც. მან და კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ განაცხადეს, რომ საქართველოში ვერ ხედავენ რუსული ენის საჭიროებას, — აცხადებს ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სოსო შატბერაშვილი.

მისი თქმით, სააკაშვილის გუნდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი, გოკა გაბაშვილი, რომელიც პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს ხელმძღვანელობს, უფრო შორსაც წავიდა. მან განაცხადა, რომ თურმე რუსული ენის ცოდნა ხელს უშლის ქართული ეკონომიკის განვითარებას.

— ამაზე მეტი ცინიზმი, შოვინიზმი, რასიზმი და ქსენოფობია შეიძლება? მეტსაც გეტყვით: ეს არის ფაშიზმის ჩვეულებრივი გამოვლინება. ამიტომ ჩვენ მივმართეთ გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიას, იუნესკოსა და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, გამოყოს სპეციალური მისია და შეისწავლოს სააკაშვილის ქსენოფობიური განცხადებები. მან რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ რუსები და აფხაზები არიან ბარბაროსები. ხოლო მონღოლოიდურ რასას პირდაპირ შეურაცხყოფა მიაყენა და მონღოლოიდების ნაშთები უწოდა დღევანდელ რუსეთს, ანუ მონღოლოიდები ცუდები ყოფილან და მისი ნაშთები უწოდა. გავიხსენოთ ისიც, რომ მონღოლოიდური რასით არის დასახლებული ნახევარზე მეტი აზია. გავიხსენოთ ორიოდე წლის წინ გაკეთებული განცხადება, რომ ზანგები ველურები არიან, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სოსო შატბერაშვილმა და ხელისუფლება არა მხოლოდ ქსენოფობიაში, არამედ ქართული ენის მიზანმიმართულ დისკრედიტებაშიც დაადანაშაულა.

— ზემოთ აღნიშნული ქსენოფობიური განცხადებების შემდეგ ვის ქსენოფობიურ განცხადებებზე ლაპარაკობს სააკაშვილი — რობერტ სტურუასი, რომელმაც განაცხადა, რომ სააკაშვილი სომეხია? ნუთუ შეიძლება, ადამიანს უწოდო თავისი ეროვნება და ეს ქსენოფობიად ჩაითვალოს? — აინტერესებს ლეიბორისტული პარტიის გენერალურ მდივან სოსო შატბერაშვილს.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ამ განცხადებას მოჰყვა ლოგიკური გაგრძელება — საქართველოში დაიხურა რამდენიმე ათეული რუსული სკოლა. ამას მოჰყვა მასწავლებლების შემცირება, ბავშვების სკოლის გარეშე დატოვება.

— წარმოიდგინეთ, რამდენიმე ათასი ბავშვი რომ დაბრუნდება არდადეგებიდან და თავიანთი სკოლა დახვდებათ გაყიდული. სად უნდა წავიდნენ და სად უნდა ისწავლონ? ან იმ მასწავლებლებმა სად უნდა იმუშავონ? ამაზე არავინ ფიქრობს. მხოლოდ-დამხოლოდ ფაშისტური განცხადებები კეთდება, რომ რუსული ენა ჩვენ არ გვჭირდება. არავისი გადასაწყვეტი არ არის, ჩვენ რომელი ენა გვჭირდება, მით უმეტეს, როგორ შეიძლება, რომ რომელიმე ენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ხელს უშლიდეს, — აღნიშნა შატბერაშვილმა.



სოსო შატბერაშვილი

მისი თქმით, ეს განცხადებები წვეთი წყალივით ჰგავს დალესისა და მაკკეინის განცხადებებს, რომლებიც ასევე გამოირჩევიან ქსენოფობიითა და პროფაშისტური განწყობებით.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელი დარწმუნებულია, რომ მსგავსი ქსენოფობიური განცხადებები ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს, მით უმეტეს, თუ ეს განცხადებები ქვეყნის პრეზიდენტისაგან მოდის.

— სააკაშვილი და მისი გუნდი საქართველოში აღვივებს ეროვნულ შუღლს და რუსული ენის სწავლების ნებას არ რთავს მხოლოდდამხოლოდ ქართველ ბავშვებს. საქართველოში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვები კი ისევ მეორე კლასიდან შეისწავლიან რუსულ ენას. ეს არის ბავშვების დისკრიმინაცია და მეტი არაფერი. ქართველი ეროვნების ბავშვს ეკრძალება რუსული ენის სწავლა, სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების ბავშვს არ ეკრძალება რუსული ენის სწავლა, — აღნიშნა სოსო შატბერაშვილმა. მისი თქმით, ამავე დროს, აქტიურად მიდის იმის პროპაგანდა, რომ ინგლისური ენა უნდა ვისწავლოთ პირველი კლასიდან. მზადდება საფუძველი, ინგლისური ენა გამოცხადდეს საქართველოში სახელმწიფო ენად. ეს არ გაუკეთებია თვით კომინისტურ პარტიასაც კი. როგორც შატბერაშვილი მიუთითებს, სააკაშვილის სურვილია, კონსტიტუციაში მშობლიური ენის ადგილას ქართულის ნაცვლად ინგლისური ჩაწეროს და ყველაფერი აქეთკენ მიდის.

***— ანუ, ბატონო სოსო, ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო ქართული ენის დისკრედიტება?***

— რა თქმა უნდა. მთელი წრე იკვრება და ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ინგლისური საქართველოში სახელმწიფო ენად გამოცხადდეს. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილს მინიშნებით არაერთხელ განუცხადებია. ამას წინათ ისიც კი განაცხადა, რომ ჩვენ ცოტანი ვართ. ჩვენს ენაზე მხოლოდ ჩვენ ვლაპარაკობთ, მეტი არავინ და ამიტომ ინგლისური ენის შესწავლა გვესაჭიროება. რომელი ენის შესაწავლა გვჭირდება, ეს სააკაშვილის გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის. თუ იმაზე ვილაპარაკებთ, რომელი ენა უფროა გავრცელებული მსოფლიოში, მაშინ მსოფლიოში ყველაზე მეტი ადამიანი ჩინურად ლაპარაკობს. მაშინ ჩინური ენა შევისწავლოთ. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. რა სააკაშვილის საქმეა, ვინ რომელ ენას ისწავლის. ის თავის ტყავში დაეტიოს. რამდენიმე ენა იცის მან ზედაპირულად, ძალიან სუსტად. სხვათა შორის, არაგრამატიკული ინგლისურით საუბრობს და თავის თავს მიხედოს.

***— თქვენი აზრით, რა იყო რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტიდან გათავისუფლების რეალური მიზეზი — ქსენოფობიური განცხადებები, როგორც კულტურის მინისტრმა განაცხადა?***

— დავიწყოთ იმით, რომ სტურუას არ გაუკეთებია ქსენოფობიური განცხადებები. მან თქვა, რომ სააკაშვილი არის სომეხი. ფრანგს რომ ფრანგი უწოდო ან იტალიელს — იტალიელი, ქსენოფობიაა? რატომ ეწყინა სააკაშვილს, როდესაც მას თავისი წარმომავლობა შეახსენეს? რადგანაც ამ წარმომავლობის დასახელებისთვის მოხსნა სააკაშვილმა სტურუა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან თავის წარმომავლობას უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა. მე რომ სომეხი ვიყო, ვიამაყებდი და არ დავმალავდი, რასაც აკეთებს სააკაშვილი და მისი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი. სტურუას არანაირი ქსენოფობიური განცხადება არ გაუკეთებია. სააკაშვილს უბრალოდ სურს ხელოვნების პრივატიზაცია. მე შენობებს არ ვგულისხმობ, მთლიანად დარგის პრივატუზაცია სურს. მას უნდა, რომ თეატრებსაც განაგებდნენ ისეთი უნიჭო მსახიობები, როგორიც არის, მაგალითად, ზუმბა, ან ისეთი უნიჭო მმართველი, როგორიც არის სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი, რომელიც დედალ და მამალ ძროხას ვერ არჩევს. ალბათ, ისეთი მსახიობები უნდა, როგორიც არის, მაგალითად, ოთარ კობერიძე, რომელიც ვერ აცნობიერებს, რამხელა ფიგურაა ნონა გაფრინდაშვილი და მას „ხეზე ჩამოკიდებით“ ემუქრება; ენის ამოგლეჯით ემუქრება იმ ადამიანს, რომელიც სააკაშვილსა და მის ხელისუფლებაზე რაიმე ცუდს იტყვის, ან, როგორც ჩანს, ისეთი მსახიობი, მომღერალი და რეჟისორი უნდა, როგორიც ვახტანგ კიკაბიძეა, რომელიც აცხადებს, რომ სააკაშვილისნაირი ახალგაზრდა მმართველი ღმერთმა გამოგვიგზავნა. ამ დროს სააკაშვილი ღმერთმა კი არა, კალიფორნიელმა მილიარდერმა კერკ კირკორიანმა გამოგვიგზავნა. შეიძლება, ესეც ქსენოფობიურ განცხადებად ჩამითვალონ. ჩამითვალა კიდეც ვინმე არნოლდ სტეფანიანმა, რომელმაც ერთ-ერთ რადიოარხზე გამოსვლისას ჩემზე განაცხადა, რომ მე გავაკეთე ქსენოფობიური განცხადება, როდესაც ვთქვი, რომ სააკაშვილი კერკ კირკორიანმა გამოგზავნა. რა არის ამაში ქსენოფობიური, როდესაც ვაცხადებთ, რომ სააკაშვილი გამოგვიგზავნა სოროსმა? მე სოროსის ეროვნებას ხაზს არ ვუსვამ. ამავე დროს, არც იმას ვუსვამ ხაზს, რომ კერკ კირკორიანი ცუდია იმიტომ, რომ ის არის სომხური წარმომავლობის. რატომ თვლის ეს ხელისუფლება სომეხის ხსენებას ცუდ ტონად, ჩემთვის წარმოუდგენელია.

***— იქნებ თავად სტურუას შემოქმედებაშია პრობლემა? არ ფიქრობთ, რომ სააკაშვილს სწორედ მისი სპექტაკლები, მისი გათვლები და ქვეტექსტები არ მოსწონს?***

— თქვენ სწორად მიხვდით, ყველაზე მთავარი მიზეზი სწორედ რობერტ სტურუას შემოქმედებაშია. რა თქმა უნდა, სტურუას შემოქმედება სააკაშვილს არ მოსწონს, ისევე, როგორც არ მოსწონდათ შევარდნაძესა და კომუნისტებს, მაგრამ ის არავის მოუხსნია, სააკაშვილისგან განსხვავებით. სააკაშვილს როდესაც ვინმე ან რამე არ მოსწონს, ის ასეთი ბარბაროსული, რასისტული მეთოდებით იქცევა. სააკაშვილს ჰგონია, რომ საქართველოში ასეთი მეთოდებით ოპოზიციურ აზრს ჩაახშობს, მაგრამ ამას ვერ გააკეთებს.

## ცოტნე გამსახურდია სტრასბურგის სასამართლოში ჩივის

საქართველოს პირველი პრეზიენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია საქართველოს ხელისუფლებას სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში უჩივის.



ცოტნე გამსახურდია

როგორც „პირველს“ გამსახურდიას ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განუცხადა, საქმე „ცოტნე გამსახურდია — საქართველოს წინააღმდეგ“ სტრასბურგის სასამართლოში უახლოეს დრეებში შევა, ამ ეტაპზე კი დოკუმენტი მომზადების სტადიაშია.

მისივე თქმით, მოსარჩელე მხარე ევროპული კონვენციის ორი მუხლის 2-ე (სიცოცხლის უფლების) და 6-ე (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევის გამო ჩივის.

„ცოტნე გამსახურდიამ შიმშილობა ოთხჯერ დაიწყო და შეწყვიტა, რამაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეარყია. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ არცერთ მის მოთხოვნაზე რეაგირება არ მოახდინა“, — განაცხადა ბექაურმა.

რაც შეეხება სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, ადვოკატი განმარტავს, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ, გარდა იმ საქმეებისა, რომელთა გამოც ის სასჯელს უკვე იხდის, მას ბრალი კიდევ ორი — სსსკ-ის 314-ე და 315-ე მუხლებით აქვს წაყენებული, რაც რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობასა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას გულისხმობს.

— აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში 2009 წლის 29 აგვისტოს შევიდა და მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილს აწერია. სისხლის სამართლის ძველი საპროცესო კოდექსის თანახმად, საქმე არაუგვიანეს 9 თვისა უნდა განხილულიყო. აღნიშნული საქმის სასამართლოში შესვლის დროს კი ჯერ კიდევ ძველი საპროცესო კოდექსი მოქმედებდა. საქმის არსებითი განხილვა ამ დრომდე არ დაწყებულა. დარღვეულია ყველა გონივრული ვადა, გამსახურდიას კი ამ კუთხით სამართლიანი სასამართლოს უფლება წაერთვა, — განმარტავს ადვოკატი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი სასჯელს ამჟამად მკვლელობის მცდელობისთვის, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და სახელმწიფო მოხელის მოქრთამვის მცდელობისთვის იხდის. ქართულმა მართლმსაჯულებამ მას თავისუფლების 14 წლითა და 6 თვით ალკვეთა მიუსაჯა.

**პირველი**

## თბილისში კერძო სკოლა „მწიგნობარი“ გაქურდეს

თბილისში კერძო სკოლა „მწიგნობარი“ გაქურდეს.

ქურდობა სავარაუდოდ, ღამის საათებში მოხდა, როცა შენობაში არავინ იმყოფებოდა.

შემთხვევას თვითმხილველი არ ჰყავს.

სკოლიდან წაღებულია კომპიუტერები, ვიდეოფლეიერი და სათვალთვალო კამერა.

კრიმინალისტების დასკვნით, მძარცველები შენობაში კარიდან შევიდნენ.

სამართალდამცველებმა უკვე აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

**პირველი**

## მოსკოვში ქართველები დააკავეს

თბილისი. რუსმა სამართალდამცველებმა მოსკოვში ძვირადღირებული მანქანების გატაცებაში ეჭვმიტანილი ქართველები დააკავეს.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა წევრი ეთნიკური ქართველია. ისინი მანქანის გატაცების მცდელობის დროს დააკავეს, რომლის ღირებულება 3 მლნ რუბლზე მეტს შეადგენს.

რუსული მედიის ინფორმაციით, დაკავების დროს ჯგუფის წევრებმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც მათ წინააღმდეგ ძალა და სპეციალური საშუალებები იქნა გამოყენებული. დაკავებულებს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ.

**პირველი**

## პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა უკანასკნელ წლებში იზრდება

სტატისტიკური მონაცემებით, პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა უკანასკნელ წლებში სტაბილურად იზრდება.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის განმავლობაში ივლისის ჩათვლით პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობამ 36.635 შეადგინა, აქედან 36.020 სრულწლოვანია, ხოლო 615 — არასრულწლოვანი.

აღრიცხულია მამრობითი სქესის 33.780 და მდედრობითის 2.855 პატიმარი.

2010 წელს პირობით მსჯავრს 31943 პირი იხდიდა. მათგან 31.405 სრულწლოვანი იყო, 538 — არასრულწლოვანი; 29.647 — მამრობითი სქესის, ხოლო 2.296 — მდედრობითის.

2009 წელს კი პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა 26.628-ს შეადგენდა. მათგან 26.112 სრულწლოვანი იყო, 516 — არასრულწლოვანი, 24.808 — მამრობითი სქესის, ხოლო 1.820 - მდედრობითის.

**პირველი**

## თელავში შვილმა მამა დაჭრა

თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში 18 წლის ბიჭმა მეგობრის დახმარებით, მამა დაჭრა. მეზობლების თქმით, შვილმა მამას დანა გულში ჩაარტყა. დაჭრილი უგონო მდგომარეობაშია. კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადამ ის თბილისში გადაიყვანა, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

გავრცელებული ინფორმაციით, მამამ შვილს სანადირო თოფი დაუმალა, რასაც შელაპარაკება მოჰყვა.

**მედიანიუსი**

# გიორგი ახვლედიანი: „აფხაზეთის ე.წ. არჩევნებში ის გაიმარჯვებს, ვინც რუსეთის ინტერესებს დააკმაყოფილებს“

საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში „პრეზიდენტობის“ ის კანდიდატი გაიმარჯვებს, რომელიც რუსეთის ინტერესებს გაცილებით მეტად დააკმაყოფილებს.



გიორგი ახვლედიანი

ახვლედიანი მიიჩნევს, რომ 26 აგვისტოსთვის დანიშნული “არჩევნების“ შედეგები სწორედ იმ კანდიდატის სასარგებლოდ გადაწყდება, რომელიც რუსეთს აფხაზეთში მისი მოქალაქეებისთვის კერძო საკუთრების დაკანონების გარანტიებს მისცემს.

„აფხაზეთში თავად აფხაზები იქ მცხოვრებ სხვა ერებთან მიმართებაში უმცირესობაში დარჩნენ. შესაბამისად, ეს დიასპორები, რომლებიც ერთად აღებული, უფრო მეტნი არიან, ვიდრე აფხაზები, იმ ინტერესს გაატარებენ, რომელიც ანტიაფხაზურია. მაგალითად, იქ მცხოვრები სომეხი მოქალაქეებისთვის ცნება „აფხაზური მიწა — აფხაზი მოქალაქეებისთვის“ არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს და ისინი თანახმა არიან, ხმა ისეთ კანდიდატს მისცენ, რომელიც რუსეთის გავლენის ქვეშაა, პირდაპირ რუსულ ინტერესებს გაატარებს და მოსკოვს აფხაზეთის დაკანონების მეტ გარანტიას მისცემს. ასე, რომ, როგორც არ უნდა დაჭამონ ერთმანეთი ბატონმა „პრეზიდენტობის“ კანდიდატებმა, რა კომპრომატებიც არ უნდა მიუძღვნან მათ ერთმანეთს და ვინც არ უნდა გამოიყენონ ერთმანეთის წინააღმდეგ აგენტურული ბრალდებებისთვის, საკითხი იმის სასარგებლოდ გადაწყდება, ვინც აფხაზეთში რუსეთის ინტერესებს გაცილებით მეტად დააკმაყოფილებს“, — აცხადებს გიორგი ახვლედიანი.

**პირველი**

# მამუკა არეშიძე: „ქართულ მხარესთან თანამშრომლობაზე ყველა ფიქრობს“

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე თვლის, რომ „აფხაზეთში პროქართული დე ფაქტო საპრეზიდენტო კანდიდატები არ არსებობენ“.



მამუკა არეშიძე

როგორც არეშიძემ „პირველს“ განუცხადა, „პროქართული კანდიდატები არც დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ანქვაბი და არც მისი კონკურენტები — დე ფაქტო პრემიერი სერგეი შამბა და ოპოზიციის ლიდერი რაულ ხაჯიმბა არიან“.

„ქართულ მხარესთან თანამშრომლობაზე ყველა ფიქრობს, თუმცა ეს საქართველოსთან ერთიანი სახელმწიფოს შექმნას არ გულისხმობს“, — განაცხადა არეშიძემ.

აფხაზეთში დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები ხვალ გაიმართება. მასში დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ანქვაბი, დე ფაქტო პრემიერი სერგეი შამბა და ოპოზიციის ლიდერი რაულ ხაჯიმბა მიიღებენ მონაწილეობას.

**პირველი**

# „ანქვაბი აფხაზეთში ის ბოლო ადამიანია, ვისზეც ამბობენ, თითქოს პროქართულია“

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებით, „ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთში ის ბოლო ადამიანია, ვისზეც ამბობენ, თითქოს პროქართულია“.



ალექსანდრე ანქვაბი

ამასთან, როგორც „პირველს“ თარგამაძემ განუცხადა, იგი აფხაზეთში დაგეგმილი ე.წ. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არავითარ ცვლილებას არ ელის და თვლის, რომ „ვინ გახდება აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი, მნიშვნელობა არ აქვს“.

„ანქვაბის განცხადებებიც კი, რომელიც ყოველგვარი წინაპირობის გარეშე საქართველოსთან მოლაპარაკებების დაწყებაზე საუბრობს და საქართველოსადმი შედარებით ლოიალურად განწყობილ ფიგურად ითვლება, მხოლოდ რიტორიკაა. თავის დროზე სერგეი ბაღაფშიც პროქართულ ფიგურად მიიჩნეოდა, თუმცა რა ხეირიც მოგვიტანა მან, ყველამ ვნახეთ. ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთში ის ბოლო ადამიანია, ვისზეც ამბობენ, თითქოს პროქართულია. ამის გამო ანქვაბის ლიკვიდაცია ორჯერ უკვე სცადეს და ბუნებრივია, მას რამდენიმე თავი არ აქვს“ — განუცხადა „პირველს“ თარგამაძემ.

აფხაზეთში დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები დღეს გაიმართება. მასში დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ანქვაბი, დე ფაქტო პრემიერი სერგეი შამბა და ოპოზიციის ლიდერი რაულ ხაჯიმბა მიიღებენ მონაწილეობას.

**პირველი**

# აფხაზეთში 108 საერთაშორისო დამკვირვებელი უკვე ჩამოვიდა



ბატალ ტაბაღუა

ოკუპირებული აფხაზეთის მარიონეტული მთვარობის მტკიცებით, საპრეზიდენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად აფხაზეთში 108 საერთაშორისო დამკვირვებელი ჩავიდა. როგორც „აფსნი ონლაინი“ იუწყება, რესპუბლიკის ცესკოს თავმჯდომარის ბატალ ტაბაღუას განცხადებით, დამკვირვებლები რუსეთიდან , იტალიიდან, საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, პოლონეთიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, უნგრეთიდან ჩავიდნენ.

„სამწუხაროა, რომ საქართველო ევროპარლამენტის დეპუტატების აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვებას აფერხებს. ჩამოსულ დეპუტატთა რაოდენობა იმაზე ნაკლებია, ვიდრე თავიდან იყო საუბარი, რადგან ევროპის ქვეყნებში საქართველოს ელჩებმა სკანდალები მოაწყვეს, როცა გაიგეს, რომ ევროპარლამენტარები აფხაზეთში, არჩევნებზე დასაკვირვებლად იყვნენ მიწვეული. „ესაა საქართველოს სახე ამით ვერ გაგვაკვირვებენ. თუკი საქართველო დემოკრატიასს აშენებს, რატომ გვიშლის ხელს ჩამოვიყვანოთ დამკვირვებლები და ვანახოთ, როგორ ვირჩევთ პრეზიდენტს“, — განაცხადა ტაბაღუამ.

მისი ცნობით, საპრეზიდენტო არჩვენებისთვის 35 საარჩევნო ოლქში 172 საარჩევნო უბანი უკვე მზადაა.

„რაც შეეხება სამხედრო პირების მონაწილეობას არჩევნებში, რესპუბლიკის ცენტრალური საარჩვენო კომისიის გადაწყვეტილებით, სამხედრო პირები ხმას არა სამხედრო ნაწილში, არამედ ჩვეულებრივ, სამოქალაქო უბნებზე მისცემენ. ეს უფრო დემოკრატიულია“, — აღნიშნავს აფხაზეთის დე ფაქტო ცესკოს თავმჯდომარე.

ცნობისთვის: ოკუპირებულ აფხაზეთში ე. წ. საპრზიდენტო არჩვენები ხვალ გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებს სამი კანდიდატი — ალექსანდრ ანქვაბი, რაულ ხაჯიმბა და სერგეი შამბა.

**მედიანიუსი**

# „ვინ გახდება აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი, მნიშვნელობა არ აქვს“

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი



გივი თარგამაძე

თარგამაძე აფხაზეთში დაგეგმილი ე.წ. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არავითარ ცვლილებას არ ელის და თვლის, რომ „ვინ გახდება აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი, მნიშვნელობა არ აქვს“.

თარგამაძის შეფასებით, დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე ანქვაბის „განცხადებებიც კი, რომელიც ყოველგვარი წინაპირობის გარეშე საქართველოსთან მოლაპარაკებების დაწყებაზე საუბრობს და საქართველოსადმი შედარებით ლოიალურად განწყობილ ფიგურად ითვლება, მხოლოდ რიტორიკაა“.

„თავის დროზე სერგეი ბაღაფშიც პროქართულ ფიგურად მიიჩნეოდა, თუმცა რა ხეირიც მოგვიტანა მან, ყველამ ვნახეთ. ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთში ის ბოლო ადამიანია, ვისზეც ამბობენ, თითქოს პროქართულია. ამის გამო ანქვაბის ლიკვიდაცია ორჯერ უკვე სცადეს და ბუნებრივია, მას რამდენიმე თავი არ აქვს“ — განუცხადა „პირველს“ თარგამაძემ.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის მხარდაჭერით დე ფაქტო პრემიერ სერგეი შამბას გაპრეზიდენტებას ელის.

**პირველი**

# ტრაგიკულად დაუპულ რეინჯერს პრეზიდენტმა ღირსების ორდენი მიანიჭა

ვაშლოვანის ეროვნული პარკის რეინჯერს დურსუნ სურმანიძეს, რომელიც 23 ივლისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ღირსების ორდენი მიანიჭა.

52 წლის რეინჯერი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, კაკლისყურესთან გაჩენილი ხანძრის ჩაქრობას ცდილობდა, რა დროსაც ფეხი დაუცდა და 60 მეტრის სიმაღლიდან კლდეში გადაიჩეხა. რეინჯერი ადგილზე დაიღუპა. მას მეუღლე და ოთხი შვილი დარჩა.

**მედიანიუსი**

# „საქართველოს ხელისუფლება ემიგრანტებს ემუქრება“

ემიგრანტთა გაერთიანება „ქართველი ემიგრანტების“ განცხადებით, უცხოეთში დაგეგმილი საპროტესტო აქციების გამო, აქციის ორგანიზატორები თურქეთში, იტალიასა და ესპანეთში, საქართველოს საკუნსულოებში დაიბარეს და დაემუქრნენ.

როგორც „მედიანიუსს“ „ქართველი ემიგრანტების“ თავმჯდომარემ ზვიად ყუშიტაშვილმა განუცხადა , მათი ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყანაში 26 აგვისტოდან საპროტესტო აქციების გამართვას იწყებს, სადაც 26 მაისის მიტინგის დარბევის ამსახველ ფოტოებსა და კადრებს აჩვენებენ.

მისი თქმით ამ აქციით სურთ, ევროპას აჩვენონ, რომ ახალი დიქტატორი გაჩნდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახით.

ყუშიტაშვილის ცნობით, ამ აქციების გამო, თურქეთში საქართველოს კონსულმა ავთანდილ მიქაცაძემ აქციის ორგანიზატორი შოთა ჯიქია დაიბარა და დაემუქრა, რომ თუ აქციის ჩატარებაზე უარს არ იტყოდა, არ გაახარებდნენ. აქციის სხვა მონაწილეებს კი, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდნენ.

„იგივე მოხდა ესპანეთსა და იტალიაშიც. იტალიაში საქართველოს კონსულის სახელით ვინმე თამაზმა, აქციის ორგანიზატორი და „ქართველი ემიგრანტების“ წარმომადგენელს ალეკო ყუშიტაშვილს პირდაპირ უთხრა, რომ აქცია არ უნდა ჩატარებულიყო და თუ მის მოთხოვნას არ გაითვალისწინებდნენ, ცუდი დღე ელოდათ, თუმცა ამაში რას გულისხმობდნენ, არ დაუკონკრეტებიათ. არალეგალ ემიგრანტებზე კი თქვეს, რომ აქციაზე გამოსვლის შემთხვევაში მათ დეპორტაციას მოახდენდნენ. ასევე მოხდა ესპანეთშიც. საქართველოს კონსულის სახელით, ვინმე გიორგიმ აქციის ორგანიზატორი გიორგი დათეშიძე დაიბარა და იგივე გაფრთხილება მისცა. როგორც ჩანს, ხელისუფლება ძალიან არის დაინტერესებულია 26 მაისთან დაკავშირებით უცხოეთში საპროტესტო აქციები არ გაიმართოს, რადგან არ სურთ უცხოური მედია და საერთაშორისო საზოგადოება ამ საკითხით კიდევ ერთხელ დაინტერესდეს“, — განაცხადა „მედიანიუსთან“ საუბრისას ზვიად ყუშიტაშვილმა და დასძინა, რომ ყველაფრის მიუხედავად, აქციები მაინც გაიმართება.

**მედიანიუსი**

# „აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ის გახდება, ვინც კრემლს ყველაზე მეტად აწყობს“

თბილისი. ევროპული ინტეგრაციის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის ვასილ ჭყოიძის აზრით, „აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ის გახდება, ვინც კრემლს ყველაზე მეტად აწყობს“.

ამასთან, ჭყოიძე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში „არჩევნების“ დაძაბულ ვითარებაში ჩატარებას ელის.



ვასილ ჭყოიძე

როგორც მან „პირველთან“ საუბრისას აღნიშნა, „დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებში გადამწყვეტი როლი მაინც რუსეთის ფედერაციის პოზიციას მიენიჭება და აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტიც ის გახდება, ვინც კრემლში ყველაზე მეტად აწყობთ“.

ამასთან, ჭყოიძეს რომელიმე კანდიდატის პროქართულობაზე საუბარი არასერიოზულად მიაჩნია.

„სამივე მათგანი სეპარატისტთა ლიდერია და მათ შორის შესაძლო განსხვავება მხოლოდ რუსეთისადმი ერთგულების ხარისხში მდგომარეობს. თავად ის ფაქტი კი, რომ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში მხოლოდ ეთნიკური აფხაზების კანდიდატურებია წარმოდგენილი, მაშინ, როცა აფხაზები დღევანდელი აფხაზეთის უმრავლესობას ნამდვილად არ შეადგენენ, ამ არჩევნების ეთნოცენტრისტულობაზე მიუთითებს“ - განმარტა ჭყოიძემ.

აფხაზეთში დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები 26 აგვისტოს გაიმართება. მასში დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ანქვაბი, დე ფაქტო პრემიერი სერგეი შამბა და ოპოზიციის ლიდერი რაულ ხაჯიმბა მიიღებენ მონაწილეობას.

**პირველი**

## ილია II ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიას მოინახულებს



თბილისი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხახაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიას მოინახულებს.

როგორც "პირველს" ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე სტეფანემ აცნობა, უწმინდესი ეპარქიას 31 აგვისტოს ესტუმრება.

„ჩვენ პატრიარქის ჩამობრძანება წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ხსენების დღისთვის გვინდოდა, თუმცა მისი გადატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, 26 აგვისტოს ნაცვლად, უწმინდესი ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიას 31 აგვისტოს მოინახულებს," — აღნიშნა მეუფე სტეფანემ.

მისივე თქმით, რომელ კულტურულ და რელიგიურ ძეგლებს ესტუმრება პატრიარქი, ჯერჯერობით დაუზუსტებელია, თუმცა იგი ცაგერში წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის საკათედრო ტაძრის სამშენებლო სამუშაოებს აუცილებლად მოინახულებს.

მეუფე სტეფანეს განმარტებით, პატრიარქი ეპარქიაში სტუმრობისას ერთ დღეს ცაგერში, ერთს კი ლენტეხში დაჰყოფს.

პირველი

## დედოფლისწყაროს რაიონში მაწანწალა ძაღლების დაუყოვნებლივ აცრას ითხოვენ

„თავისუფალი საქართველოს" დედოფლის წყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე თამილა გურაშვილის განცხადებით, დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტში ცოფის გავრცელების მხრივ საგანგაშო ვითარებაა, მუნიციპალიტეტის ხელმღვანელობა კი ამ დრომდე მაწანწალა ძაღლების მოშორების ჰუმანურ გზებზე მსჯელობს.




გურაშვილის ცნობით, რაიონში მაწანწალა ძაღლებმა დაკაწრეს და დაკბენიეს 209 ადამიანი. 32 ბავშვი კი, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონდათ ცოფიან კატასთან, სრულ მკურნალობას გადიან ცოფზე.

„დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი აცხადებს, რომ დედოფლისწყაროში მაწანწალა ძაღლების პრევენციის არცერთი სახე არ არსებობს, ცდილობენ ამ საკითხის დასარეგულირებლად ჰუმანური გზები გამოძებნონ. სანამ იგი ამ გზის ძებნაშია, რაიონში საგანგაშო ვითარება შეიქმნა და ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს. მიუხედავად იმისა,რომ დედოფლისწყარო ცოფის გავრცელების მხრივ მაღალი რისკის ზონაშია, ამ მხრივ არაფერი კეთდება.

„თავისუფალი საქართველო" მოითხოვს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ შესაბამის უწყებას დაავალოს მობილური ჯგუფების შექმნა და სასწრაფოდ აიცრას რაიონში მყოფი ყველა შინაური ცხოველი, რომელიც ცოფის გავრცელების საშიშროებას ქმნის. ხოლო დაზარალებულებს ვურჩევ, შეიტანონ სარჩელი იმ კომპეტენტური ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რომელთაც ევალებათ მათი დაცვა ამ საშინელი დაავადებისგან. მათი უმოქმედობის და გულგრილობის გამო მოსახლეობა დაუცველია ამ მომაკვდინებელი სენისგან", — აცხადებს კახა კუკავას პარტიის წარმომადგენელი.

მედიანიუსი

## საბავშვო ბაღებში რეგისტრაცია სოციალურად დაუცველმა ბავშვებმა ვერ შეძლეს

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ქრისტიან-დემოკრატ ჯაბა სამუშიას ინფორმაციით, დედაქალაქის მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებმა ვერ შეძლეს.

როგორც მან თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირზე მდებარე №29 ბაგა-ბაღთან გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამის მიზეზი საბავშვო ბაღებში არსებული დიდი რიგებია. სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები სარეზერვო სიებში რეგისტრირდებიან.

მისი ინფორმაციით, პრობლემაა ისიც, რომ საბავშვო ბაღების მართვის სააგენტომ ბაღში ყოველთვიური გადასახადის გადახდის ვადად ერთი კონკრეტული დღე განსაზღვრა. ამ დღემდე თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ბავშვი საერთო ბაზიდან ამოვარდება და გაირიცხება. ჯაბა სამუშიამ სააგენტოსაგან მოითხოვა, რომ მშობელს გადასახადის დასაფარად ორკვირიანი ვადა მიეცეს.




მან დღესვე განათლების და მეცნიერების სამინისტროსაგან ახსნა-განმარტება მოითხოვა იმაზე, შეძლებენ თუ არა ბაღგაუვლელი ბავშვები სკოლაში სწავლის გაგრძელებას. მოარული ხმებით, ასეთ ბავშვებს სკოლაში არ მიიღებენ.

„თუ ეს სიმართლეა, მაშინ კონსტიტუციის დარღვევასთან გვაქვს საქმე, რადგან ქვეყნის ზოგ სოფელში ბაღი საერთოდ არ არის", — აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

იგი საბავშვო ბაღებთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობას ხვალისთვის დაგეგმილ საკრებულოს სხდომაზე აპირებს.

მედიანიუსი

## ანდრია ურუშაძე წალკას ეწვია

თბილისი. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე წალკას ეწვია. მინისტრი რაიონული საავადმყოფოს ექიმებს შეხვდა.




გარდა ამისა, მან სოციალური მომსახურების სააგენტო და მშენებარე კლინიკა დაათვალიერა, რომელიც პაციენტებს დეკემბრიდან მოემსახურება.

ჯანდაცვის მინისტრი მედიაციის სამსახურის ხელმძღვანელ გურამ კერესელიძესთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა და სახელმწიფო დაზღვევასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

მედიაციის სამსახურის ორგანიზებით, მოსახლეობას ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე დაბეჭდილი საინფორმაციო ბუკლეტებიც დაურიგდა.

პირველი

## ონიშჩენკო: ქართული პროდუქცია რუსეთის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაბრუნდება

ქართული ღვინო და მინერალური წყლები რუსულ ბაზარზე მაშინ დაბრუნდება, თუ ის რუსეთის მოთხოვნებს უპასუხებს, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსი".

წყაროს ცნობით ეს განცხადება როსპოტრებნადზორის ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ გააკეთა.

„საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ჩვენ იმავე მოთხოვნებს ვუყენებთ, რასაც ბურკინა-ფასოდან შემოტანილს. პროდუქციის ის მოცულობა, რისი მიწოდებაც ამ ქვეყანას რუსეთისათვის თეორიულად შეუძლია, მიზერულია და ჩვენი სამომხმარებლო ბაზრისთვის არაფერს წარმოადგენს", — აღნიშნა გენადი ონიშჩენკომ.

მისი თქმით, როსპოტრებდნადზორში შედის განცხადებები, რომლებიც რუსულ ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყლების დაბრუნების შესაძლებლობას ეხება. „ამ განცხადებებზე ჩვენი პასუხი ასეთია: კი ბატონო, მობრძანდით, რუსული კანონმდებლობის პირობების მიხედვით დაარეგისტრირეთ პროდუქცია და ივაჭრეთ. თუ ის რუსეთის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მას არავითარი დაბრკოლება არ შეექმნება", — აღნიშნა გენადი ონიშჩენკომ.

შეგახსენებთ, რომ ამ საკითხზე მოსკოვში ხვალისთვის გენადი ონიშჩენკოსა და თბილისის საკრებულოს წევრს, პარტია „თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენელ კახა კუკავას შორის შეხვედრა არის დაგეგმილი.

მედიანიუსი

## მართლმადიდებელ ეკლესიასა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის მემორანდუმი გაფორმდება

საპატრიარქოში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდება. შეთანხმებას ხელს მოაწერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, უწმიდესი და უნეტარესი ილია II და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე.

შეთანხმების თანახმად, ეკლესია და სამინისტრო, რომლებიც ადასტურებენ ეკლესიის უდიდეს როლს ერის სულიერ აღზრდაში, მზად არიან ურთიერთთანამშრომლობით ხელი შეუწყონ: ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის სრულყოფას მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, ოჯახურ ან ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობების შესაქმნელად; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს სრულყოფას, მათ შორის, იღებენ ზომებს, რათა მათ მზრუნველობას დაქვემდებარებული პირთათვის (განსაკუთრებით არასრულწლოვანი ბავშვებისათვის) შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, ხელმისაწვდომობა სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ სერვისებზე და ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობების შექმნა; მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის როლისა და ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას; მოსახლეობისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და დამკვიდრებას; მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებზე, სამინისტროსა და საპატრიაქოს მონაწილეობთ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას.

მედიანიუსი

## მეხუთე დღეა ლაგოდეხში 473 აბონენტს დენი არ მიეწოდება

მეხუთე დღეა საბაჟო „ლაგოდეხი", სასაზღვრო პოლიციის მე-5 სამმართველო, სოფლები: მაწიმი და რაჭისუბანი, საერთო ჯამში, 473 აბონენტი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

კახეთის ენერგოდისტრიბუციაში ზუსტ რიცხვს ვერ ასახელებენ, თუ როდის აღდგება ელექტრომომარაგება, — აცნობეს „მედიანიუსს" რადიო „ჰერეთიდან".

კახეთის ენერგოდისტრიბუციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ჟანა დიდებაშვილის თქმით, მიმდინარეობს საყრდენი ბოძების აღდგენითი სამუშაოები. წყალმა სულ 10 საყრდენი წაიღო.

კომპანიის ინფორმაციით მოსახლეობა დენის მიწოდება 3-4 დღეში აღუდგება.

მედიანიუსი

## სტიქიამ კახეთი 6,8 მილიონით აზარალა

21 აგვისტოს სტიქიამ კახეთის რეგიონს 6,8 მილიონი ლარის ზარალი მიაყენა. ყველაზე მეტად ლაგოდეხის რაიონი დაზარალდა, სადაც ზარალის ოდენობა 5 მილიონი ლარია. საგარეჯოს რაიონს 1 300 000 ლარის ზარალი მიადგა, გურჯაანს — 500 000 ლარის, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

ლაგოდეხის რაიონში სტიქია 21 აგვისტოს დილიდან გვიან ღამემდე მძვინვარებდა. ზაქათალის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდან 70 ოჯახის ევაკუაცია მოხდა. ძლიერი წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარე „შრომის ხევმა" კორპუსების ეზოდან 8 ავტოფარეხი წაიღო, წყალმა მთლიანად დაანგრია რესტორანი „სანაპირო", დაგლიჯა მრავალწლიანი ხეები, დააზიანა ბუნებრივი აირის მილები, დაწყვიტა ელექტროსადენები. საცხოვრებელი სახლები, გზები და ნაკვეთები დაიტბორა სოფლებშიც. დაიხოცა შინაური ფრინველი და პირუტყვი.

საგარეჯოს რაიონის სოფლებში შიბლიანში, ყანდაურაში, ბადიაურსა და ბოგდანოვკაში სასმელი წყლის სათავე ნაგებობები და ქსელი განადგურდა. მნიშვნელოვნად არის დაზიანებული შიდა საუბნო გზებიც.

სტიქიის შედეგად გურჯაანის რაიონში სასმელი წყლის სათავე ნაგებობები, ხიდები, ბოგირები, ღვარსადენები და შიდა საუბნო გზები დაზიანდა.

მედიანიუსი

## პოლონელმა ექსპერტებმა საქსტატს გამოცდილება გაუზიარეს

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ პოლონეთის სტატისტიკური სამსახურის კატოვიცეს რეგიონალური ოფისის თანამშრომლები.

როგორც „მედიანიუსს" საქსტატიდან აცნობეს, პოლონელმა ექსპერტებმა ეროვნული ანგარიშების სამმართველოს თანამშრომლებს გაუზიარეს პოლონური გამოცდილება რეგიონული ანგარიშების წარმოების სფეროში. განხილული იქნა ევროკავშირის ქვეყნებში გავრცელებული რეგიონული ანგარიშების მეთოდოლოგია.

აღნიშნული ვიზიტი რიგით მეორეა პოლონეთის სტატისტიკურ სამსახურთან თანამშრომლობის ფარგლებში. პირველი ვიზიტი შედგა მიმდინარე წლის ივნისში. ამავე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ეროვნული ანგარიშების სამმართველოს თანამშრომლების საპასუხო ვიზიტი კატოვიცეში მიმდინარე წლის ოქტომბერში.

ევროკავშირის ქვეყნების მეთოდოლოგიის თანდათანობითი დანერგვის გზით საქსტატი არსებითად გააუმჯობესებს მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებას საქართველოს ცალკეული რეგიონების მიხედვით.

მედიანიუსი

## სოფელ ზემო ქედს მგლები შეესივნენ

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედს მგლები შეესივნენ.

მტაცებლებმა ნანა პაპიაშვილის სახლის ეზოში 4 ცხვარი შეჭამეს, სხვებს კი ძროხები დაუგლიჯეს. მოსახლეობა მონადირეთა ჯგუფის შექმნას და მგლების ლიკვიდაციას ითხოვს, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

სოფელ ზემო ქედის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ლადო პაპიაშვილის თქმით, მუნიციპალიტეტის გამგეობა საქმის კურსში ჩააყენეს და პრევენციული ზომების გატარება იგეგმება.

მედიანიუსი

## სამთაწყაროში 15 ჰექტარი ვენახი დაიწვა

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში 15 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი დაიწვა. ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ დაინტერესებულმა პირებმა ვენახებს ცეცხლი შეგნებულად წაუკიდეს.

„ყველაფერი გადაიწვა. ცარიელი მავთულები და სარები დარჩა. მოვითხოვეთ, რომ გაერკვიათ, ცეცხლი საიდან გაჩნდა, მაგრამ ჯერ ვერ დაადგინეს. ვეჭვობთ, რომ შესაძლებელია ვენახები შეგნებულად გადაწვეს. დიდი ხანია დაინტერესებული პირები დადიან და ამ ადგილების ყიდვა უნდათ. ვენახები რომ გვქონდა, არ ვყიდდით, ახლა იძულებულები გავხდებით, გავყიდოთ. აბა, აქ ახალ ვენახს ველარ ავაშენებთ, სარწყავ წყალს არ გვაძლევენ", — აღნიშნეს სამთაწყაროს მაცხოვრებლებმა.

დედოფლისწყაროს პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის.

მედიანიუსი

# პროკურატურამ პატიმრის წამებაში ბრალდებული პირები დააკავა



**დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრის, რამაზ პატარაიას საქმეზე დაზარალებულის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო. დაკავებულები არიან სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები, რომლებიც პატიმრის წამებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში იყვნენ ეჭვმიტანილნი, — აცნობეს „მედიანიუსს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“.**

მათივე ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო ანდრიაშვილი 2010 წლის სექტემბრიდან იცავს პატიმარ რამაზ პატარაიას, რომელიც მასზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის გამო უმძიმეს მდგომარეობაშია — ქვედა კიდურები პარალიზებული აქვს და ეტლით გადაადგილდება, აღენიშნება პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და კრუნჩხვები.

როგორც თავად პატიმარი წერს ახსნა-განმარტებით ბარათში, 2009 წლის 3 დეკემბერს ქუთაისის №2 საპყრობილეში სასტიკად სცემეს ციხის თანამშრომლებმა — ვინმე დათომ (რომლის გვარიც არ ახსოვდა) და ნუგზარ ჟორჟოლიანმა. ისინი პატარაიას ურტყამდნენ წიხლებს ფეხებში, ზურგსა და თავში, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ცემის შემდეგ პატიმარმა არაერთხელ ითხოვა ექიმის დახმარება და ციხის საავადმყოფოში გადაყვანა, მაგრამ მისთვის სამედიცინო დახმარება არ გაუწევიათ.

აღნიშნულ ინციდენტზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ საქმე 2010 წლის 19 თებერვალს აღძრა.

2010 წლის 29 იანვარს რამაზ პატარაია მეორედ გახდა ძალადობის მსხვერპლი. იგი საბადრაგო სამსახურის თანამშრომელმა სცემა ქუთაისის №2 საპყრობილიდან მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ეტაპირებისას. ამ ინციდენტის შემდეგ პატიმარი სახალხო დამცველის რწმუნებულმა მოინახულა და ოქმში მის სხეულზე არსებული დაზიანებები აღწერა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეში ჩართვის შემდეგ პატიმრის ადვოკატმა ნინო ანდრიაშვილმა საქმის სტრასბურგში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გადაგზავნა უზრუნველყო. სტრასბურგიდან პროკურატურას მოსთხოვეს, მიეწოდებინათ ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობდა რამაზ პატარაიას საქმის მოკვლევა და რა კეთდებოდა პატიმრის ადეკვატური მკურნალობისათვის.

რამაზ პატარაიას ცემის ფაქტითა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით სახალხო დამცველის აპარატიც დაინტერესდა. ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით — პატარაიასთვის დაუყოვნებლივ ჩაეტარებინათ შესაბამისი მედიკამენტოზური და სტაციონარული მკურნალობა.

22 აგვისტოს, საგამოძიებო მოქმედების — ამოცნობის ჩატარების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ დააკავა ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმის განყოფილების ინსპექტორი, ნუგზარ ჟორჟოლიანი და კონტროლიორი დავით სვანიძე. ამოცნობის პროცედურის დროს რამაზ პატარაიამ დავით სვანიძე ადვილად ამოიცნო. ნუგზარ ჟორჟოლიანის ვინაობა კი გამოძიებისთვის თავიდანვე ცნობილი იყო.

2011 წლის 24 აგვისტოს აღნიშნულ პირებს წარედგინათ ბრალდება სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. იმ დღესვე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, დავით სვანიძისა და ნუგზარ ჟორჟოლიანისთვს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევის თაობაზე.

2011 წლის 25 აგვისტოს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულებს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

მედიანიუსი

მედვედევმა კოკოითს „დამოუკიდებლობის“ ცნობის მესამე წლისთავი მიულოცა 2ს

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი სოჭში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს შეხვდა.

როგორც „იტარ-ტასი“ იუწყება, შეხვედრაზე მედვედევმა კოკოითს ე.წ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის რუსეთის მიერ აღიარების სამი წლისთავი მიულოცა.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს ცხინვალსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის საკითხებზეც.

„დღეს რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობიდან სამი წელი სრულდება. გულითადად გილოცავთ ამ თარიღს. რესპუბლიკა ვითარდება, წარმატებებს აღწევს. რა თქმა უნდა, სიძნელეებიც არის. სიძნელეები განვითარებას ყოველთვის თან ახლავს. ამიტომ მოდით, ვისაუბროთ ორმხრივი ურთიერთობებისა და საერთაშორისო საკითხებზე, რომელიც თქვენი ქვეყნის განვითარებისთვისაა აუცილებელი“, — განაცხადა მედვედევმა კოკოითთან შეხვედრაზე. **მედიანიუსი**

# რატომ დევნიან საქართველოში ადვოკატებს?

## „თუ ეს არ შეწყდა, სამართლებრივი კრიზისი გაღრმავდება“

შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ ადამიანის უფლებათა დამცველ გრიგოლ გაგნიძესთან



გრიგოლ გაგნიძე

*— ბოლო პერიოდში საკმაოდ გახშირდა ადვოკატთა უფლებების დარღვევის ფაქტები. ეს ყველაფერი აისახა იმ ანგარიშში, რომელიც ქართველმა უფლებადამცველებმა გაუგზავნეს საერთაშორისო ორგანიზაციებს. რა გამოხმაურება მოჰყვა ამ ყველაფერს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან?*

— ბოლო წლების განმავლობაში საგანგაშო ვითარებაა შექმნილი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ნებისმიერ სფეროში, რაც არაერთხელ გახდა განსჯის საგანი როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო დონეზე. დამოუკიდებელ ადვოკატთა ინსტიტუტის დაკნინების მცდელობის ფონზე მასობრივად ირღვევა და ილახება ადამიანისა და იძულებით გადაადგილებულთა ფუნდამენტური უფლებები.

საქართველოში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივით ადვოკატთა უფლებების დაცვის კუთხით 2010 წლის ნოემბერსა და ამა წლის ივნისში მოწვეულ იქნა საქართველოში ევროპელი პროფესიონალი ადვოკატების ჯგუფი, კერძოდ, საერთაშორისო ადვოკატთა უფლებების დაცვის ობსერვატორია, რომელთა მეშვეობითაც ევროპის ადვოკატთა გაერთიანებებმა და დემოკრატიული ფასეულობების მქონე ქვეყნებმა შეშფოთება გამოთქვეს დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუტის დაკნინების მცდელობის გამო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, რაც გამოხატება 120-მდე ადვოკატის დაკავება-დაპატიმრებით.

აგრეთვე ობსერვატორიის მიერ ჩვენი კომისიისა და ადვოკატ უფლებადამცველების ხელშეწყობით შესწავლილ იქნა არაერთი რეზონანსული საქმე, რომლებიც შეეხება ადვოკატთა უკანონო დაკავებების, პატივის, ღირსების შელახვისა და არაადამიანური მოპყრობის, პატიმარ ადვოკატთა არასათანადო პირობებში ჩაყენება-მოპყრობასა და სხვა უკანონობებთან მიმართებით — მარიანა იველაშვილის, შალვა დოლიძის, რამინ პაპიძის, ვარლამ ბალხამიშვილის, ნაირა ოტიაშვილისა და სხვათა მიმართ.

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი თომას ჰამერბერგი 18-24 აპრილს საქართველოში იმყოფებოდა. მან მოამზადა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 30 ივნისს სტრასბურში მისი მოხსენების შემდგომ. ეს არის ძალზე ვრცელი მოხსენება, სადაც იგი რეკომენდაციებს აძლევს ხელისუფლებას და მიუთითებს სისხლის სამართლის პოლიტიკაში მნიშვნელოვან ხარვეზებზე, როგორებიცაა სასამართლო, პროკურატურა, სასჯელაღსრულების ორგანოები. ასევე მან გააკრიტიკა მართლმსაჯულების განხორციელების ინსტიტუტები დამოუკიდებელ ადვოკატთა დევნა-შევიწროების გამო.

*— თუ იყო კომისრის მიერ პერსონალურად მოხსენიებული კონკრეტულად რომელიმე ადვოკატის საქმე?*

— დიახ, იყო მარიანა იველაშვილი, რომლის უფლებების დაცვაზე ამჟამად ვახორციელებ მონიტორინგს, როგორც ადვოკატთა უფლებების კომისიის წევრი. იგი 2009 წლიდან სასჯელს იხდის ს.ა.დ-ის №5 დაწესებულებაში. იგი აქტიურად განაგრძობს თავისი უფლებების დაცვას საპატიმროში როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო მონიტორინგის წინაშე. ჰამერბერგის მოხსენებაში წერია, რომ კომისრის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 24 წლის ადვოკატ მარიანა იველაშვილის საქმემ, რომელსაც 5 წელი და 9 თვე აქვს მისჯილი 2009 წელს ჩადენილი თაღლითობისათვის. მისი ადვოკატები და ადვოკატთა ასოციაცია აცხადებენ, რომ საქმე სავსეა პროცედურული დარღვევებით და რომ იველაშვილი მიზანმიმართულად არის შერჩეული კრიტიკული განცხადებების გამო. ადვოკატები და უფლებადამცველები აცხადებენ, რომ ის, რაც იველაშვილის წინააღმდეგ საქმის აღძვრის საფუძველი გახდა, არ არის სისხლის სამართლის დანაშაული და ადვოკატთა ეთიკის კოდექსის დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული. სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად, როგორც უკვე კოლეგებმა განვიხილეთ, არანაირად არ დგინდება თაღლითობის ნიშნები; დაკავებისას 21 წლის ასაკში მას ადვოკატობა ახალი დაწყებული ჰქონდა და გამოუცდელობის გამო არასათანადო კვალიფიციური მომსახურება გაუწია მოქალაქეს. მას გამოუსწორებელი შეცდომა ნამდვილად არ ჩაუდენია. დარღვევა ნამდვილად ადვოკატთა ეთიკის კომისიის განხილვის საგანი უნდა ყოფილიყო და არა — პროკურატურის, კომისია თუ დაადგენდა მის გადაცდომებს ანდა შეცდომებს, კოლეგების დახმარებით თავიდან გაუწევდა მომსახურებას და არანაირად არ უნდა გამხდარიყო სისხლის სამართლის დევნის საგანი. ასეთი აქტიური და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდის 5 წელი და 9-თვიანი ციხისთვის გამეტება დანაშაული და სადიზმია.

თუ ადვოკატთა დევნა არ შეწყდება, სამართლებრივი კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება და გამძაფრდება. შედეგად კი ველური კაპიტალიზმიდან ველურ კომუნიზმში, ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვის დროში — 1950-60 წლებში დავბრუნდებით.

*— ბოლო დროს აქტუალური გახდა ქსენოფობიური გამონათქვამების იარლიყის მიკერება მოქალაქეების გამონათქვამებზე და ურთიერთბრალდებებზე. მოკლე კომენტარს ხომ არ გააკეთებდით?*

— სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიულ-მემკვიდრეობითი, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა უფლებების დარღვევის ფონზე ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით „სიტყვის, აზრის თავისუფლებისა და გამოხატვის კანონის“ სრული იგნორირებით ქსენოფობიური ავანტიურის მორევში ცდილობენ საზოგადოების ჩათრევას, რაზეც მხოლოდ გარედან მომზირალი მტერი მოითბობს ხელს.

# თბილისის მერიამ საფეხბურთო კლუბ „დინამოსთან“ მემორანდუმი გააფორმა



ზურაბ პოლოლიკაშვილი



გიორგი ცხაკაია

თბილისის მერის მოადგილე გიორგი ცხაკაიამ და საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ დირექტორმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გააფორმეს

საფეხბურთო კლუბ „დინამოსთან“ ხელი მოეწერა გრძელვადიან (49 წლიანი) სარგებლობის უფლების ხელშეკრულებას, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონთან დაკავშირებით, რომლის მთავარი მიზანია: სტადიონის მოვლა-პატრონობა და რეკონსტრუქცია, სტადიონის მწვანე საფარის შეცვლა (განახლება), ყოველწლიური ინვესტიციის განხორციელება, სტადიონის პროფილის შენარჩუნება მთელი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდზე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონის უეფასა და ფიფას საერთაშორისო თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა სტადიონი მუდმივად მზად იყოს საერთაშორისო დონის საფეხბურთო მატჩებისათვის.

**მედიანიუსი**

# აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები ათენის მერიის საბავშო ბანაკში დაისვენებენ

აფხაზეთის მთავრობის ორგანიზებითა და ათენის მერიის მხარდაჭერით აფხაზეთიდან დევნილი ქართველი და აფხაზი ბავშვები საბერძნეთში, ატიკის ნახევარკუნძულზე დასასვენებლად გაემგზავრნენ.

პროექტის ფარგლებში მათთვის კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებები ჩატარდება. მოზარდები საბერძნეთის ისტორიულ და ღირსშესანიშნავ ადგილებს დაათვალიერებენ.

ბავშვები საბერძნეთში აფხაზეთის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი ბობოხიძემ და აფხაზეთის მთავრობის წევრებმა გააცილეს.

დევნილი მოზარდები საქართველოში 3 სექტემბერს დაბრუნდებიან.

**მედიანიუსი**

# თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში ჯილეხის დიაგნოზით 39 წლის მამაკაცი მოათავსეს

თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში ჯილეხის დიაგნოზით 39 წლის მამაკაცი მოათავსეს.

პაციენტი თბილისში დედოფლისწყაროდან გადმოიყვანეს.

მას სხეულზე გამონაყარი რამდენიმე დღის წინ გაუჩნდა, რასაც დაავადებისთვის დამახასიათებელი სხვა სიმპტომებიც მოჰყვა.

მამაკაცი მიზეზად მსხვილფეხა პირუტყვს ასახელებს, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ დაკლა.

ეს წელს ჯილეხით დაავადების უკვე მე-10 შემთხვევაა.

**პირველი**

**2011 წლის 9 სექტემბერს, დღის 13 საათზე შედგება შპს „ლომისას“ (ყოფილი ს/ს „ლომისა“) აქციონერთა კრება**

**დღის წესრიგი:**

1. აქციონერთა სიის დაზუსტება;
2. იურიდიული მისამართის შეცვლა.

ქ.თბილისი, მაყაშვილის ქუჩა №37.

ტელეფონი: 2-98-66-13; მობ.: 599-973-319.

# მსჯავრდებულებთან გათავისუფლებამდე ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები მუშაობენ

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე თბილისის 12 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მზადების პროგრამის მიმდინარეობას გაეცნო.

სარეაბილიტაციო პროგრამის მიხედვით, რომელიც წელს დაინერგა, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები მსჯავრდებულებთან მუშაობას გათავისუფლებამდე 4-6 თვით ადრე იწყებენ და მათ საზოგადოებაში უმტკივნეულო დაბრუნებაში ეხმარებიან.

პროგრამის ფარგლებში, ფსიქორეაბილიტაციის გარდა, მსჯავრდებულები დახმარებას იღებენ გათავისუფლების შემდეგ ოჯახთან ურთიერთობის, განათლების მიღების, დასაქმების და პირადი დოკუმენტების მოწესრიგების კუთხით.

მინისტრის თქმით, აღნიშნული სარეაბილიტაციო პროექტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მსჯავრდებულისთვის, არამედ იმ ოჯახისთვის, რომელმაც მსჯავრდებული უნდა მიიღოს. საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის მხარდაჭერით მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა უკვე ქსნის 15 და რუსთავის 16 დაწესებულებებში ფუნქციონირებს. მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

**მედიანიუსი**

# მარიამობას გრემის სამონასტრო კომპლექსი გაიხსნება

ეკა ირემაშვილი


გრემი

28 აგვისტოს, მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ყვარელში გრემის ახლად რეაბილიტირებული სამონასტრო კომპლექსი გაიხსნება. კომპლექსს კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი საზეიმო ვითარებაში გახსნის.

გრემი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია, რომელიც კახთა მეფე ლევანმა ააგო. ტაძარი აგურით არის ნაშენი, აქა-იქ რიყის ქვაც აქვს შერეული. ტაძრის ფასადი დაყოფილია სამ-სამ თაღოვან მონაკვეთად.

გრემის ტაძარი ერეკლე II-ს შეუკეთებია. ტაძრის აგებამდე გორაკზე კოშკურა შენობა მდგარა, რომლის მესამე სართულზე შემდგომ სამრეკლო დაუშენებიათ. ამ ტერიტორიის არქეოლოგიური გათხრები გასულ საუკუნეში ორჯერ წლების განმავლობაში მიმდინარეობდა.

გრემში ჩამოსული უცხოელებისათვის სპეციალურად გაითხარა აბანო. აბანოს მილებში შემორჩენილი დიდი რაოდენობის ნალექის მიხედვით სავარაუდოა, რომ აბანოს იყენებდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. გათხრებით მოპოვებულ მასალაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმპორტულ — სპარსულ, ჩინურ კერამიკას.

— გრემის ნაქალაქარის წარმოდგენა დღეს შეუძლებელია კლდოვანი ქედის დაბოლოებაზე გალავანშემორტყმული ეკლესიისა და სამრეკლოს გარეშე, რომელსაც ხალხი „მთავარანგელოზს“ ეძახის, მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელის სახელზე აგებული ტაძრის მიხედვით. პირველ ყოვლისა, თვალშისაცემია ანსამბლისათვის მოხერხებულად შერჩეული ადგილი, რომელიც გარემოსაგან გამოყოფილი, აზიდულა ზევით და გრემს დაპატრონებია. ანსამბლი მაღალი ტყიანი მასივისაგან განშტოებული კლდოვანი ქედის დაბოლოებაზეა გაშენებული. აქ მშენებლობის დაწყებამდე ქედი გადაუჭრიათ და ეკლესიის ადგილი ხელოვნურად გამოუყვიათ გარემოსაგა, რითაც მისი გამაგრება უცდიათ, ადგილისათვის მაღალი ბორცვის სახე მიუციათ. გრემის მთავარანგელოზთა ტაძარი ერთ-ერთი იმ ნაგებობათაგანია, რომელიც ბრწყინვალედაა ლანდშაფტში ჩაწერილი. ყოველი გამვლელი, სპეციალისტი თუ არასპეციალისტი, აღტაცებაში მოდის ამ კომპოზიციით, რომელსაც ქმნის მთასთან შერწყმული ანსამბლი, — აღნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, 28 აგვისტოდან გრემის სამონასტრო კომპლექსის დათვალიერების საშუალება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება.

# ირაკლი ჩარკვიანი სცენას უბრუნდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

პის“ მიერ არის ორგანიზებული, ღია ცის ქვეშ ჩატარდება და ერთდღიანი იქნება. სპეციალურად ამ ტურისტულ-მუსიკალური ფესტივალისთვის შეიქმნება სამდღიანი ტურპაკეტები, რომლებიც მგზავრობას, დაბინავებასა და კვებას მოიცავს.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორები აცხადებენ, „სვანსეტის“ ჩატარების მიზანი ტურისტული ცენტრის პოპულარიზაცია და სვანეთის კულტურულ ცენტრად გადაქცევაა.

— წლევანდელი ფესტივალი სვანეთს 4-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. ეს არის პრეოქტი, რომელიც მუდმივად მუსიკალური სიახლეებით იქნება დატვირთული. ირაკლი ჩარკვიანის ახალი პროექტის გარდა, მასში მონაწილეობას მიიღებს ჯგუფი „სოფთ ეჯექტი“, რომელიც ელექტრონულ პროექტს დაუკრავს. ფესტივალი მესტიაში უკვე მეორედ ტარდება. მუსიკალური თვალსაზრისით, ეს არის საინტერესო დღე, სადაც მოხდება ირაკლი ჩარკვიანის ახალი ალბომის წარდგენა. ეს არც მისი სიმღერების ახლებური ვერსიების პრეზენტაციაა და არც ტრიბიუტი. ეს არის სრულიად ახალი ალბომი, რომელსაც თავად ირაკლი ჩარკვიანი წარადგენს. ვიზუალი იქნება ირაკლი, მასთან ერთად კი სცენაზე ცოცხალი ბენდი იმუშავებს. ამ პროექტში გაერთიანებულია მისი ბოლო ჩანაწერები, პოეზია, ხმა. ამ პროექტის მთავარი გმირი სწორედ ირაკლია. ეს არ არის არტი, არც მოგონება. ამ საღამოს თავის ალბომს ირაკლი ჩარკვიანი წარუდგენს შეკრებილ საზოგადოებას. მესტიაში დაგეგმილ ღონისძიებაზე მისი ბოლო ჩანაწერები იქნება გამოყენებული, რაც დიდი სიურპრიზი იქნება ირაკლის თაყვანისმცემლებისთვის. გარდა ამისა, ორი მუსიკალური პროექტის პრეზენტაციაც მოეწყობა. „სოფთ ეჯექტი“ ახალი მუსიკალური ხედვითა და პერფორმანსით ბრუნდება. რამდენიმე ტრეკს პირველად მოისმენს და ნახავს მაყურებელი. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, ეს ფესტივალი ყოველწლიური გავხადოთ, რადგან სვანეთი ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ მესტიაში ასეთი მუსიკალური დღესასწაულები ტარდებოდეს, — განაცხადა „ალტერვიჟენ გრუპის“ წარმომადგენელმა, მომღერალმა აჩიკო გულედანმა.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორები აღნიშნავენ, მესტიაში მინიმუმ 2 ათას მსმენელს ელოდებიან. მათი აზრით, ეს რიცხვი სვანეთისთვის აბსოლუტურად მისაღებია. მათთვის უკვე ცნობილია, რომ, ადგილობრივების გარდა, „სვანსეტზე“ დასასწრებად თბილისიდანაც ბევრი ადამიანი აპირებს წასვლას.

— სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი უნიკალური ადგილია. იქაურობა ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩვეულებრივი კონცერტი კი არ ჩატარდეს, არამედ გარემოსთან შერწყმული, ორიგინალური და საინტერესო ფესტივალი შედგეს, ამიტომ 4-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული „სვანსეტი“ უბრალოდ კონცერტი ნამდვილად არ იქნება, — აღნიშნა აჩიკო გულედანმა.

„სვანსეტი 2011“ მესტიაში 2 სექტემბერს ავა. ამ ფესტივალის მთავარი მიზანი მესტიის პოპულარიზაცია და კულტურულ ცენტრად გადაქცევაა. როგორც ფესტივალის ორგანიზატორები აცხადებენ, „სვანსეტი“ მომავალშიც გაგრძელდება და იგი თავისი ორიგინალური და არატრადიციული პროექტებით კიდევ უფრო ბევრ მაყურებელს მიიზიდავს სვანეთში.

# პოეტი ქალები დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

სოფელ არტანში სახალხო ზეიმი „ხვარამზეობა“ იზეიმეს. ეს დღესასწაული მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაციისა და თიანეთისა და ფშავხევსურეთის მთავარეპისკოპოსის, მიტროპოლიტ თადეოზის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა. დღესასწაული „ხვარამზეობა 2011“ წელს უკვე მეორედ გაიმართა. დღესასწაულის ორგანიზატორობა კავშირმა „ფშავის აღორძინებამ და განვითარებამ“ ითავა.

დღესასწაულის ფარგლებში წელს პირველად გაიმართა „ერთი ლექსის კონკურსი“. მასში სულ 65 პოეტი ქალი მონაწილეობდა. გამარჯვებულები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა და საუკეთესოები სამახსოვრო პრიზებითაც დააჯილდოვა.

პირველი სამი ადგილის მფლობელებს სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები და ხვარამზეს სახელობის ფულადი პრემიები გადაეცათ. ხვარამზეს პრემიის მოსაპოვებლად ქართველი პოეტები და ცნობილი მთქმელები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ლექსის ზეიმის ფარგლებში ლიტერატურული კონკურსის „ხვარამზეობის“ გამარჯვებულ პოეტ ქალთა სახალხო დაჯილდოებაც შედგა.

საქართველოში სხვადასხვა კუთხე თავის სახალხო დღესასწაულს უკვე აქტიურად აღნიშნავს. თუშებმა იზეიმეს „თუშეთობა 2011“, რომელმაც ცნობილი შემსრულებლები და ფოლკორული კოლექტივები გააერთიანა. არტანამდე სახალხო დღესასწაული იზეიმეს შატილში. „შატილობა 2011“ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებითა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ჩატარდა. წლევანდელი დღესასწაული სანახაობების მრავალფეროვნებით იყო გამორჩეული — „შატილობას“ შედგა ლუდის კოდის დალოცვის ცერემონიალი, მოეწყო სპორტული და კულტურული ღონისძიებები. დღესასწაულის ფარგლებში შატილს შიდა და უცხოელი ტურისტები ესტუმრნენ, რაც, მათი აზრით, ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, შატილის და ზოგადად ხევსურეთის მდიდარი კულტურული მემკვიდეროობის პოპულარიზაციას, ხოლო მეორე მხრივ შატილში ტურისტული ნაკადების რაოდენობას გაზრდის.

# ბათუმში ბრიტანელი მოცეკვავეები ჩავლენ

ეკა ირემაშვილი


ბათუმი

მთელი ზაფხულის განმავლობაში ბათუმი კულტურული ღონისძიებებით საკმაოდ დატვირთულია. გრანდიოზული კონცერტებისა და მრავალი საინტერესო ფესტივალის გარდა, ბათუმი არაერთ მუსიკალურ საღამოს მასპინძლობს. სხვადასხვა მომღერლის მიერ ჩატარებული კლუბური ხასიათის კონცერტები კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ბათუმში დასვენებას და უფრო მეტ ტურისტსაც იზიდავს. ბათუმში მდებარე ღამის კლუბების გარდა, საინტერესო და ორიგინალურ სანახაობებს დამსვენებლებს სასტუმროებიც სთავაზობენ.

26 და 27 აგვისტოს „სოლოს“ ორგანიზებით კლუბ „ფეიქ ფაიფში“ „ბლექ სი ლაივის“ ფარგლებში ცნობილი ბრიტანელი მოცეკვავეები ჩამოვლენ და კონცერტებს გამართავენ. ჯგუფი „ჯაზკოტეჩდენსერზ“ და დიჯეი პორი ლუისი ერთობლივ კონცერტს ჩაატარებენ. ბრიტანელ ხელოვანთა მასპინძელი კომპანია „ისთერპრომოუშენია“, რომელიც ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალის დახურვის შემდეგ „ბლექ სი ლაივის“ ფარგლებში არაერთ ცნობილ შემსრულებელს შავიზღვისპირა ქალაქში იწვევს.

„ისთერნპრომოუშენის“ ინფორმაციით, ბრიტანელი ხელოვანები სთრიტ ფიუჟენ დენსს იცეკვებენ. ეს ჯგუფი დიდ ბრიტანეთში გასული საუკუნის 90-იანი წლებში ჩამოყალიბდა. მასში გაერთიანებულნი ბრიტანელი მოცეკვავეები არიან.

ბათუმის პიაცაზე უკვე გამართა კონცერტი უკრაინულმა ჯგუფმა და მომღერალმა ივანა მელაიმ. სპეციალურად ამ კონცერტისთვის, მომხიბვლელ მომღერალთან ერთად, მუსიკოსთა 6-კაციანი ბენდიც ჩამოვიდა. კონცერტს სიურპრიზების გარეშე არ ჩაუვლია. სცენაზე ცნობილი რეპერი იქსელ დელუქსიც გამოვიდა. პოპის, სოულისა და როკის ელემენტების სინთეზი პიაცაზე წვიმაში შეკრებილი მუსიკის მოყვარულებისთვის კიდევ უფრო საინტერესო და ენერგიული აღმოჩნდა. ივანა მელაიმ პიაცაზე შეკრებილი მსმენელისთვის 15 მუსიკალური კომპოზიცია შეასრულა.

კლუბმა „სი საიდმა“ მსოფლიოში ორ ცნობილ მუსიკოსს — ქულიოსა და მოჯოს უმასპინძლა. მათთან ერთად შავი ზღვისპირეთში ცნობილი ევროპელი დიჯეებიც ჩამოვიდნენ და მსმენელის ამაღლებულ განწყობაზე ყოველ საღამოს, სეზონის დახურვამდე იზრუნებენ.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.
დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.
იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.
გახდით მონასტრის მეგობარი.
გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.




უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

## მედვედევმა კოკოითს „დამოუკიდებლობის“ ცნობის მესამე წლისთავი მიულოცა




რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი სოჭში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს შეხვდა.

როგორც „იტარ-ტასი“ იუწყება, შეხვედრაზე მედვედევმა კოკოითს ე.წ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის რუსეთის მიერ აღიარების სამი წლისთავი მიულოცა.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს ცხინვალსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის საკითხებზეც.

„დღეს რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობიდან სამი წელი სრულდება. გულითადად გილოცავთ ამ თარიღს. რესპუბლიკა ვითარდება, წარმატებებს აღწევს. რა თქმა უნდა, სიძნელეებიც არის. სიძნელეები განვითარებას ყოველთვის თან ახლავს. ამიტომ მოდით, ვისაუბროთ ორმხრივი ურთიერთობებისა და საერთაშორისო საკითხებზე, რომელიც თქვენი ქვეყნის განვითარებისთვისაა აუცილებელი“, — განაცხადა მედვედევმა კოკოითთან შეხვედრაზე.

**მედიანიუსი**

## რუსეთში „ბორჯომი“ ძალიან არ მონატრებიათ

რუსეთში გამოკითხულთა 34% მიიჩნევს, რომ რუსეთმა „ბორჯომზე“ აკრძალვა უნდა მოხსნას.

„ინტერფაქსის“ ცნობით, ამაში განსაკუთრებით რუსეთის ცენტრალური ფედერალური ოლქის მცხოვრებლები არიან დაინტერესებული და ის ადამიანები, რომელთა ასაკი 55 წელს აღემატება.

ფონდ „საზოგადოებრივი აზრის“ მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, რომელიც რუსეთის 43 სუბიექტში ჩატარდა, გამოკითხულთა 36 % წინააღმდეგია რუსეთში „ბორჯომის“ დაბრუნების. ამდენივე პროცენტი კი აცხადებს, რომ ქართული წარმოების მინერალური წყლები არასოდეს დაულევიათ. ასეთი ადამიანებს შორის არიან ახალგაზრდები, სოფლის მცხოვრებლები, ციმბირისა და სამხრეთის ფედერალური ოლქის მცხოვრებლები.

**ინტერპრესნიუსი**

## მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად პროექტი განხორციელდება



ევროპის სავაჭრო პალატა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში ექვს ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, „ეასტ-ინვესტის“ პროექტს ახორციელებ. მისი მიზანი ევროკავშირის ბაზარზე წარმატებული შესვლისათვის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაა.

საქართველოდან აღნიშნულ პროექტს კოორდინაციას საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა და ბიზნესგაერთიანება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია უწევენ.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მცირე და საშუალო საწარმოებს (რომლებშიც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 100 თანამშრომელს) შემდეგი სექტორებიდან: აგრობიზნესი, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ტურიზმი, მდგრადი მშენებლობა (ენერგოეფექტური ტექნოლოგიების კუთხით) ტექსტილის წარმოება.

პროექტი ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას: ტრენინგების/სემინარების ჩატარებას მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის; ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სავაჭრო მისიებში მონაწილეობის მიღებას, ადგილზე პრაქტიკული სემინარებისა და ორმხრივი შეხვედრების ორგანიზებასა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის მხარდაჭერის აღმოჩენა მათი ბიზნესის გაუმჯობესებისა და ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრებისათვის.

პროექტში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია დაწყებულია. მათ განაცხადები არაუგვიანეს 2011 წლის 15 სექტემბრისა უნდა წარადგინონ. საუკეთესოებს ევროპის სავაჭრო პალატა შეარჩევს.

დეტალური ინფორმაციის მიღებისათვის კომპანიებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას და ბიზნეს გაერთიანება — საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას.

**მედიანიუსი**

# გერმანიის კანცლერი მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალია




გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალების რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავა. ეს რეიტინგი ჟურნალმა „ფორბსმა“ მოამზადა.

მერკელს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მოსდევს, მესამე ადგილზეა დილმა რუსეფი, რომელიც 2011 წლის 1 იანვარს ბრაზილიის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი ქალი გახდა.

„ფორბსის“ სიაში წლეულს ამერიკელები ლიდერობენ. 100 ქალიდან 65 ამერიკელია. სამ-სამი წარმომადგენელი ჰყავთ ჩინეთს, ინდოეთს და დიდ ბრიტანეთს.

სიის წევრებს შორის ყველაზე ხანდაზმულია დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II, რომელმაც რეიტინგში 49 ადგილი დაიკავა ყველაზე ახალგაზრდა, ამერიკელი პოპ ვარსკვლავი ლედი გაგა 25 წლისაა. იგი მე-11 ადგილზეა.

57 წლის ანგელა მერკელი გერმანიის კანცლერი 2005 წლის ნოემბერში გახდა. იგი მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალების რეიტინგს მეხუთედ ჩაუდგა სათავეში.

სიას პირველ ადგილზე იგი 2006-2009 წელს იმყოფებოდა, მაგრამ შარშან მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. მას აშშ-ის პიირველმა ლედიმ, მიშელ ობამამ, კონცერნ კრაფტ ფუდსის ხელმძღვანელმა ირენ როზენფელდმა და პოპულარული თოქშოუს წამყვანმა ოფრა უინფრიმ გაუსწრეს.

ფორბსმა ანგელა მერკელს ევროკავშირის „აღიარებული ლიდერი“ და ევროპაში ჭეშმარიტად გლობალური ერთადერთი ეკონომიკის ლიდერი უწოდა.

ფორბსის ექსპერტების თქმით, მერკელის ხელმძღვანელობით ქვეყნის ეკონომიკა ვითარდება, უმუშევრობა ეცემა, თუმცა ევროზონაში მიმდინარე კრიზისის გამო გერმანია ხშირად არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ვარდება, რადგან თავისი უფრო სუსტი მეზობლების გადარჩენა ხშირად მას უხდება.

ფორბსის განცხადებით მერკელის წინაშე ევროკავშირის დავალიანების სტაბილიზაციის და ერთიანი ვალუტის მოქმედების ზონის ერთიანობის შენარჩუნების ამოცანა დგას.

ეს ზონა 17 ქვეყანას მოიცავს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, რომელიც გასულ წელს გავლენიანი ქალების რეიტინგის მეხუთე ადგილზე იმყოფებოდა, წლეულს მეორეა, რაც აშშ-ის დიპლომატიური უწყების სათავეში მისი საქმიანობის მაღალი შეფასების ნიშანია.

ფორბსის ექსპერტების აზრით, ჰილარი კლინტონი კვლავაც მაღალ შეფასებას იმსახურებს აშშ-ის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, გარდა ამისა, იგი ცდილობს დიდი ყურადღება დაუთმოს ქალთა მდგომარეობის, განვითარებისა და განათლების საკითხებს.

ბრაზილიის პრეზიდენტ დილმა რუსეფს, რომელიც მესამე ადგილზე გავიდა, კომპანია „პეპსიკოს“ ლიდერი ინდრა ნოი მოსდევს. სოციალური ქსელის, „ფეისბუქის“ ოპერაციული საკითხების დირექტორი შერილ სენდბერგი მეხუთეა, კომპიუტერული გიგანტის, ბილ გეითსის მეუღლე მელინდა გეითსი — მეექვსე. იგი ქმართან ერთად საქველმოქმედო ფონდის „ბილ ენდ მელინდა გეითს ფაუნდეიშნის“ თანათავმჯდომარეა.

მეშვიდე ადგილზე რეიტინგში ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის ლიდერი, 64 წლის სონია განდი იმყოფება.

ას აშშ-ის პრეზიდენტის მეუღლე მიშელ ობამა მოსდევს. მეცხრე ადგილზეა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი კრისტინ ლაგარდი, მეათეზე — „კრაფთ ფუდის“ ხელმძღვანელი ირენ როზენფელდი.

ლანეტის ყველაზე გავლენიანი ქალების რეიტინგში მოხვდნენ პოლიტიკოსები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მასმედიის და გართობის ინდუსტრიის პირველი პირები. სიის ფიგურანტების ნახევარი მასში პირველად მოხვდა.

პოლიტიკოსთაგან სიაში აღმოჩნდნენ სარა პეილინი, ალასკის ყოფილი გუბერნატორი და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან. მან 34 ადგილი დაიკავა. აუნ სან სუ ჩი, ბირმის დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი სიაში 26-ეა. სიაში მოხვდნენ აგრეთვე ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯულია გილარდი, იორდანიის დედოფალი რანია და სხვები.

ცნობილი ამერიკელი ტელეწამყვანი, 57 წლის ოფრა უინფრი ტელეშოუს დახურვის შემდეგ მესამე ადგილიდან მე-14-ზე აღმოჩნდა.

რიტანელი მწერალი, ჰარი პოტერის წიგნების ავტორი ჯოან როულინგი 61-ე ადგილზეა, 36 წლის ამერიკელი მსახიობი ანჯელინა ჯოული 29-ეა, ხოლო 29 წლის პოპ ვარსკვლავი ბეიონს ნოულზი — მე-18-ზე.

**გ.თ.**

# უკრაინის პრეზიდენტი იულია ტიმოშენკოს შესაძლოა, თავდებში დაუდგეს




უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა კიევის პეჩორის სასამართლოს, შესაძლოა, იულია ტიმოშენკოს თავდებით გათავისუფლების თხოვნით მიმართოს. „რია ნოვოსტის“ ცნობით, პრეზიდენტის მრჩეველი დიმიტრი ვიდრინი არ გამორიცხავს, რომ იანუკოვიჩმა სასამართლოს ასეთი თხოვნით მიმართოს.

ვიდრინის თქმით, მან პრეზიდენტს ურჩია, ასე მოიქცეს, რადგან ტიმოშენკოს პატიმრობაში ყოფნა გეოპოლიტიკური შეცდომაა.

„იანუკოვიჩი შესაძლოა, ტიმოშენკოს თავდებად დაუდგეს. პრეზიდენტიც ადამიანია. მას ბოროტი მახსოვრობა არ აქვს“, — განაცხადა მრჩეველმა. მანვე უკრაინულ ტელეკომპანიასთან საუბარში განაცხადა, რომ იანუკოვიჩსა და ტიმოშენკოს შორის პირადი და შიდაპოლიტიკური დაპირისპირება არ არსებობს.

„ახლა წყდება ევროპაში აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავლის ბედი. უკრაინას კი ყავს როგორც მოკავშირეები, ისე მოწინააღმდეგეები. არ მინდა, რომ დამნაშავე თუ უდანაშაულო ტიმოშენკო გახდეს უკრაინისთვის ამ პარტნიორობის შეწყვეტის მიზეზი“, □ განაცხადა ვიდრინმა.




უკრაინის ექსპრემიერი იუალია ტიმოშენკო 5 აგვისტოს სასამართლო სხდომის დროს დააპატიმრეს.

**ინტერპრესნიუსი**

## სკოლებისთვის ნეტბუკების გადაცემის პროცესი დაიწყო

თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებისთვის ნეტბუკების გადაცემის პროცესი დაიწყო.

კომპანიები „ალგორითმი“ და “ინტელი“ საქართველოს ფოსტის დახმარებით, ნეტბუკების დისტრიბუციას უზრუნველყოფენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ხვალ, კომპიუტერული ქარხნიდან ნეტბუკების კონტეინერებში ჩატვირთვის პროცესს დაესწრება.

**ინტერპრესნიუსი**

## მაშველებმა ხდის ხეობაში დაკარგული 30 წლის გიორგი ქრისტესაშვილის ცხედარი იპოვეს

მაშველებმა ხდის ხეობაში დაკარგული 30 წლის გიორგი ქრისტესაშვილის ცხედარი იპოვეს.

წინასწარი ინფორმაციით, ის კლდიდან გადაიჩეხა.

ცხედარი ამ დროისთვის ექსპერტიზისთვის ყაზბეგის რაიონში გადაასვენეს.

19 აგვისტოს დაკარგული მოყვარული მთამსვლელის სამძებრო სამუშაოები დღეს დილის 6 საათიდან განახლდა. სამუშაოებში სამაშველო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად მთამსვლელთა 6-კაციანი ჯგუფიც ჩაერთო.

მოყვარულ მთამსვლელთა ორი 6-კაციანი ჯგუფი მწვერვალ გორზე იყო ასული. 30 წლის მამაკაცმა ნისლში მარტო დაშვება გადაწყვიტა. მას შემდეგ სამი დღის განმავლობაში ის აღარავის უნახავს.

მწვერვალი 4,200 მეტრიანია, მაგრამ რთულ მარშრუტად არ ითვლება.

მეგობრები ამბობენ, რომ დაკარგული გზას კარგად იცნობდა და გამყოლის გარეშე აქ ხშირად დადიოდა.

**პირველი**




## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 2. ცხარე საწებელი; 3. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 4. ქართული რადიო; 5. ფრანგული ვაშლის ღვინო; 9. მოდელების სააგენტო თბილისში; 12. დიპლომატიური კორპუსის მეთაური რომელიმე ქვეყანაში; 14. სახალხო თავყრილობა ძველ რომში; 17. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება; 15. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 18. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა.

**თარაზულად:** 6. მდინარე ყვარელში; 7. შემოქმედებითი წარმოსახვა; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 10. ველორიქშა ინდოეთში; 11. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. ძველი ბერძნული ქალაქების გამაგრებული ნაწილი; 16. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ადამიანი, რომელმაც უღალატა თავის რწმენას; 20. იტალიური ყველი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართლი; 2. ფეტა; 3. სეფედროშა; 4. ნივეა; 5. ვაქცინა; 8. რწმენა; 9. გალაქტიკა; 12. ხვიფლი; 14. საბენა; 16. იბიცა.

**თარაზულად:** 1. ქსილოფონი; 6. ნემეზიდა; 7. რეკრუტი; 9. გინესი; 10. ლაპი; 11. ფეოდალი; 13. ვისლა; 15. ავლანი; 17. ბარამბო; 18. ოფორტი; 19. აფონია; 20. ბალასტი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სორენტო; 2. მრუმე; 3. გრეიდერი; 4. სტუპორი; 5. ვერნისაჟი; 9. ტიტანი; 12. ვექტორი; 14. რენძიუ; 15. ლეკი; 17. ნანტი; 18. ბასი.

**თარაზულად:** 6. ჰოპერი; 7. ქრისტინე; 8. რეჟიმი; 10. კოქსი; 11. კონვერტორი; 13. ბრუკლინი; 16. ქენონი; 19. აბსოლუტი; 20. ზურმუხტი.

# ლუკაკუ დროგბას დარჩენას ეხვეწება

**ლონდონის ჩელსის ახალწვეულს, 17 წლის რომელუ ლუკაკუს ინგლისური მედია გაესაუბრა. ბელგიელმა ფეხბურთელმა საკმაოდ საინტერესო საკითხებზე ისაუბრა — თუ სად გაატარა არდადეგები, რა მოსწონს ჩელსიში, რა საერთო აქვს მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებთან. გარდა ამისა, ლუკაკუმ ბელგიაში გატარებული პერიოდიც გაიხსენა.**
**ლუკაკუ სტემფორდ ბრიჯზე ანდერლეხტიდან აგვისტოს დასაწყისში გადავიდა და, როგორც თავად ამბობს, დროგბას დანახვაზე ლამის იტირა. დღეს ის კოტ დივუარელ ვეტერანს ეხვეწება, ჩელსიდან არსად წავიდეს.**


რომელუ ლუკაკუ

**რომელუ ლუკაკუ:**

— დიდიე დროგბას ორი მაისური მქონდა, ერთი დასაძინებლად და მეორე ქუჩაში მეგობრებთან სათამაშოდ. ჩელსის იმ დღიდან ვგულშემატკივრობ, რაც ჯიმი ფლიოდ ჰასელბაინკმა ათი წლის წინ მანჩესტერ იუნაიტედს გოლი გაუტანა. ჩემი გმირები დროგბა და ნიკოლა ანელკა იყვნენ. დიდიეს პლაკატი ჩემი საწოლის თავზე, ჭერში მქონდა გაკრული, ანელკასი კი — ცოტა მარჯვნივ. ყოველთვის ისეთ ბუცებს ვიცვამდი, როგორსაც დროგბას დავუნახავდი და შინ ჩელსის ტელევიზია გამოვიწერე, რათა ჩემი გმირების ვარჯიშები და მათი მონაწილეობით სარეკლამო კლიპები მენახა. როდესაც 2009 წლის ნოემბერში ჩელსიმ არსენალს 3:0 მოუგო, ქუჩაში დავრბოდი და ვღრიალებდი. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი უმცროსი ძმა ჯორდანი არსენალის გულშემატკივარია. ისე ვღრიალებდი, დედაჩემს ეგონა, რომ გავგიჟდი. სტემფორდ ბრიჯზე პირველად სკოლის მოსწავლეობის დროს, მეგობრებთან ერთად, სამდღიანი ექსკურსიის დროს მოვხვდი. ჩემმა მეგობრებმა გასახდელების დათვალიერება დაიწყეს, მე კი მოედანზე დავდექი და წარმოვიდგინე, რომ დროგბასთან ერთად ვთამაშობდი. შემდეგ ჩემს მასწავლებელს ვუთხარი, ნახავთ, ერთ დღეს აქ ვითამაშებ-მეთქი. და აი, გავიდა რამდენიმე წელიწადი და ოცნება ავიხდინე. სხვათა შორის, ჩელსისთან კონტრაქტს ხელი რომ მოვაწერე, იმ მასწავლებელს დავურეკე და რაც მოხდა, ვახარე.

***— მოდით, არასერიოზული შეკითხვით დავიწყოთ — როგორ გაატარეთ არდადეგები?***

— მას შემდეგ, რაც პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდი, არდადეგები არ მქონია. როდესაც ვარჯიშები არ მქონდა, სკოლაში დავდიოდი. ახლა სკოლა დავამთავრე და კარგადაც დავისვენე.

***— როგორ?***

— თავდაპირველად რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად, მაიამიში ვაპირებდი წასვლას. თუმცა, შემდეგ გავიგეთ, რომ ჩემი ასაკის გამო ბევრ ადგილას არ შემიშვებდნენ. ამიტომ სახლში დარჩენა და ახალი სეზონისთვის მომზადება ვამჯობინე.

***— სწავლა-განათლება ფეხბურთელობაში ხელს ხომ არ გიშლიდათ?***

— არანაირად. ხანდახან სწავლის მიტოვება მინდოდა, მაგრამ იმის დამტკიცებაც მსურდა, რომ სწავლისა და ფეხბურთის შეთავსება შესაძლებელია. რთულია იმეცადინო, როცა შენი მეგობრები ისვენებენ. მქონია დღეები, როდესაც წიგნების ფანჯრიდან გადაყრა მინდოდა.

***— თქვენ ყოველთვის ოცნებობდით დიდი ფეხბურთის თამაშზე.***

— დიახ, მითხრეს, რომ პატარაობისას დედისთვის მითქვამს — 16 წლის ასაკში ფეხბურთელი გავხდები, ბევრ ფულს ვიშოვი და შენ ამდენი მუშაობა აღარ დაგჭირდება-მეთქი. მაშინ დედაჩემს გაღიმებია, მაგრამ, როგორც ხედავთ, ნამდვილად ასე მოხდა.

***— ბელგიის ჩემპიონატში დებიუტი 16 წლის ასაკში გქონდათ.***

— დიახ, სტანდარტის წინააღმდეგ. იმ მატჩში კარგად ვითამაშე. როდესაც ასეთი მატჩების გემოს იგებ, უფრო მეტის სურვილი გიჩნდება. შემდეგ წელს ჩემი გუნდი ჩემპიონი გახდა, მე — ბომბარდირი. გარდა ამისა, რამდენიმე კარგი მატჩი ჩავატარეთ ევროპის ლიგაზე. მაგალითად, აიაქსთან და ატლეტიკოსთან. მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდიოდა.

***— მაგრამ გასულ სეზონში ყველაფერი არც ისე კარგად იყო. რატომ?***

— ჩემპიონთა ლიგაზე გასვლის შანსი გვქონდა, მაგრამ ბელგრადის პარტიზანმა პენალტის გატანით დიდი დარტყმა მოგვაყენა. ამის შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანი თამაშები წავაგეთ აიაქსთან და სტანდარტთან.

***— ზამთრის შესვენების დროს თქვენ ინტერვიუებს არ იძლეოდით. რატომ?***

— მამაჩემი მეუბნებოდა, რომ ხალხი ჩემზე იტყოდა, მთელი დღე ინტერვიუებს არიგებსო. რა თქმა უნდა, ვარჯიშისთვის არ სცალია. ჩავარდნა რომ მქონოდა, ხალხი ყველაფერს ჩემს უსაქმურობას დააბრალებდა.

***— ასე ნამდვილად ამბობდნენ?***

— დიახ. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნებში ეს ნორმალურია, ბელგიაში საკუთარი თავის რეკლამირებას ცუდად უყურებენ. ნეიმარი და მესი ხშირად საუბრობენ ჟურნალისტებთან, მაგრამ ეს მათ თამაშს ხელს არ უშლის.

***— რამდენიმე თვის წინ თქვენს სახელს სხვადასხვა გუნდს უკავშირებდნენ. საბოლოო ჯამში ჩელსიში აღმოჩნდით. ყველაზე მეტად რა მოგწონთ ინგლისურ ფეხბურთში?***

— ცეცხლი, შიში, გულშემატკივრები... ფეხბურთელები მოედანზე 90 წუთს ატარებენ და 110 პროცენტით იხარჯებიან.

***— საიდან მოდის თქვენი ჩელსისადმი სიმპათია?***

— ჩემი საყვარელი ფერი ლურჯია. გარდა ამისა, მე ჩელსის თამაშის სტილი მოურინიოს დროს მომწონდა. არისტოკრატები უმაღლეს ტემპში თამაშობდნენ. განსაკუთრებით დიდიე დროგბა მომწონს. ის ჩემი კერპია.

***— თქვენს კერპად კიდევ ვის დაასახელებდით?***

— კრიშტიანუ რონალდუ მაოცებს. ის ერთმანეთს შესანიშნავად უთავსებს ფეხბურთსა და პირად ცხოვრებას. ის არასდროს გაურბის ჟურნალისტებს. რონალდუ ბრწყინვალე ფეხბურთელია. მიკვირს იმ ფეხბურთელების, რომლებიც ტიტულების მოგების შემდეგ მოტივაციას კარგავენ. მე სხვანაირი ვარ — გამარჯვებებით არასდროს დავიღლები.

# ულიდერებოდ საქართველომ ლატვიასთან წააგო

**ლატვია საქართველო 84:73 (16:24, 26:15, 26:17, 16:17)**

**ლატვია:** დაირის ბერტანსი (8ქ), ფრეიმანსი, იურევიჩუსი (10ქ), კუკსიკსი (12ქ), იერომანოვსი (10ქ), შტრელნიეკსი (13ქ), ბერზინსი (9ქ,6მ), შელაკოვსი (6ქ,6ქ), მარეკს მეიერსი (6ქ), მარტინს მეიერსი (10ქ,5მ)

**საქართველო:** გამყრელიძე, ვ.ბოისა (5ქ), ა.ბოისა (6მ), ფაჩულია (18ქ,6მ), ცინცაძე (4ქ,), შერმადინი (3ქ), მარკოიშვილი (7ქ), სანიკიძე (9ქ,6მ), ცქიტიშვილი (8ქ), შენგელია (8ქ,5მ), შარაბიძე (1ქ), ჰეინესი (8ქ), ფარღალავა (2ქ)

ევროპის ჩემპიონატამდე ბოლოსწინა მოსამზადებელი მატჩი საქართველოს ნაკრებმა ქალაქ ვენტსპილსში ლატვიასთან 73:84 დათმო. 2 დღის წინ იგორ კოკოშკოვის გუნდმა ბალტიისპირელები 83:79 დაამარცხა, მეორე მატჩში კი ჩვენებს შედეგზე არ უთამაშიათ — მწვრთნელმა გუნდის ძირითად შემადგენლობას საშუალოზე ნაკლები სათამაშო დრო გამოუყო. ბოლო მეოთხედში მოედანზე საერთოდ არ გამოჩენილა ის ძირითადი შემადგენლობა, რომელმაც შეხვედრა დაიწყო.

მოსამზადებელი მატჩები საიმისოდაა, რათა მწვრთნელმა საკუთარ ჩანაფიქრებს ხორცი შეასხას. არის კიდევ გარკვეული მომენტები, რის გამოც შედეგზე მეტი ყურადღება სხვა დეტალებს ექცევა. საქართველოს ნაკრებისთვის ლატვიასთან თამაში სასარგებლო იყო იმით, რომ სამწვრთნელო შტაბს თავისუფლად მოქმედების საშუალება ჰქონდა. ლატვიელებმა სულაც მთავარი ლიდერის, იანის ბლუმსის გარეშე ითამაშეს, რომელსაც ტრავმა არ აწუხებდა — უბრალოდ, მწვრთნელმა ის დაასვენა. შესაბამისად, გაუმართლებელი იქნება ლატვიასთან წაგების ტრაგედიად მიჩნევა. თუმცა, შეცდომები უამრავი იყო, თანაც არაფრით განსხვავდებოდა წინა საკონტროლო მატჩებიდან. იმედი დავიტოვოთ, რომ იგორ კოკოშკოვს ეს მატჩიც ოფიციალური შეხვედრების წინ სწორი დასკვნების გამოტანაში დაეხმარება.

საქართველოს ნაკრებმა კი წლეულს მე-11 საკონტროლო მატჩი ჩაატარა და მეხუთედ დამარცხდა. თითქოს საგანგაშო არაფერია, მაგრამ მეტოქეები საშუალოზე დაბალი დონის გუნდები იყვნენ.

ახლა მატჩზე: ლატვიასთან კარგად ჩატარებული პირველი მეოთხედის შემდეგ იგორ კოკოშკოვის შეგირდებმა თამაში სათანადოდ ვერ დაალაგეს და საბოლოოდ 11-ქულიანი სხვაობით (73:84) დამარცხდნენ.

22 აგვისტოს ამავე ლატვიასთან ზაზა ფაჩულიამ 42 ქულა ჩააგდო და თანაგუნდელებს 83:79 მოაგებინა. თითქოს იმ მატჩის შემდეგ ლატვიელთა მთავარი ამოცანა „ფაჩულიას კომპლექსისგან" განკურნვა იყო, მაგრამ პირველივე წუთებზე გამოჩნდა, რომ ლატვიელებმა ეს ვერ შეძლეს — საწყის ათწუთეულში ზაზამ 10 ქულა ჩააგდო და ქართველებმა მეოთხედი 24:16 მოიგეს.



თუმცა, ეს მონაკვეთი დანარჩენებმაც კარგად ითამაშეს, მანუჩარ მარკოიშვილი შეტევაშიც ნაყოფიერი იყო და დაცვაშიც, ხოლო ვლადიმერ ბოისას ნაცვლად შეცვლაზე შესულმა ნიკა ცქიტიშვილმა ერთმანეთის მიყოლებით ორი სამქულიანი ჩააგდო.

საქართველოს ნაკრებმა მეორე პერიოდი ფაჩულიას გარეშე დაიწყო და ლატვიელებსაც ყოველგვარი კომპლექსი მოეხსნათ — თავისუფლად ათამაშდნენ, დაცვაში თამაშიც გამოასწორეს და პერიმეტრიდანაც ერთბაშად 4 სამქულიანი ჩააგდეს. მეორე პერიოდის შუაში ბალტიისპირელებმა 11:0 გაქცევა მოაწყვეს და 27:26 დაწინაურდნენ.

ამ ყველაფერს ვიქტორ სანიკიძის აფეთქება მოჰყვა, რომელმაც და 3-წუთიან მონაკვეთში 9 ქულა ჩააგდო — ორჯერ ჩატენა (თან ჯარიმებიც მიაყოლა) და ერთი სამქულიანიც გამოიყენა.

სანიკიძის ეფექტურმა თამაშმა ვერც ჩვენები გაააქტიურა და ვერც მეტოქე შეაშინა. ლატვიამ განაგრძო პლაგმატული თამაში და პირველი ტაიმის ბოლოს სამი ქულით დაწინაურდა — 42:39.

მესამე პერიოდმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა, თუმცა უკეთესად მაინც მასპინძლები გამოიყურებოდნენ და მეოთხედის დასრულებამდე 36 წამით ადრე 6 ქულით იგებდნენ. სწორედ ამის შემდეგ მოადუნეს ქართველებმა ყურადღება და ორი სამქულიანი მიიღეს, რის შემდეგაც ლატვია 68:56 დაწინაურდა.

მეოთხე პერიოდის განახლებისთანავე ბალტიისპირელებმა კიდევ ერთი სამქულიანი ზუსტად ისროლეს (71:56) და კიდევ ერთხელ დაუკონკრეტეს იგორ კოკოშკოვს, რომ საქართველოს ნაკრებს პერიმეტრზე დაცვა მისახედი აქვს. ევრობასკეტზე ქართველთა ხუთივე მეტოქეს ხომ სამქულიანების კარგი სპეციალისტები ჰყავს. ისიც წინასწარ ვიცით, რომ ბელგია და ბულგარეთი სწორედ სამქულიანებით ეცდებიან ჩვენს გატეხას.

ლატვიამ საბოლოოდ 24-დან 11 სამქულიანი გამოიყენა, მაშინ, როცა ქართველებმა პერიმეტრიდან 13-ჯერ ისროლეს და 5 ჩააგდეს.

რადგან სტატისტიკაზე ვლაპარაკობთ, აქვე გეტყვით, რომ ჩვენმა გუნდმა მასპინძლებს მოხსნებში 40:28 აჯობა, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ფარქვეშ უპირატესობა გამარჯვების გარანტიად არ გამოდგება.

ლატვიელებთან მატჩის შემდეგ იგორ კოკოშკოვის ასისტენტ დავით უსტიაშვილის ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— ლატვიასთან მარცხს უარყოფითად ხომ არ უმოქმედია ნაკრების წევრებზე?***

— არა, რატომ, ეს ხომ არ იყო ოფიციალური შეხვედრა. ლატვიას წინა შეხვედრა მოვუგეთ, ახლა კი შედეგს ნაკლები ყურადღება დავუთმეთ და მატჩის დაწყებამდე გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ყველა კალათბურთელს ვათამაშებდით და ასეც გავაკეთეთ.

***— ბოლო მეოთხედში საკმაოდ რეალური იყო, რომ ლატვიელები დაგვემარცხებინა, თუმცა გადამწყვეტი ათწუთეული მთლიანად სათადარიგო კალათბურთელებს დაუთმეთ. გიორგი შარაბიძე, ლაშა ფარღალავა, ანატოლი ბოისა და ნაკრების სხვა სათადარიგოები საკმაო ხნით იმყოფებოდნენ მოედანზე.***

— მთავარმა მწვრთნელმა თავიდანვე გადაწყვიტა, რომ მოედანზე ყველა გასულიყო, რათა ბოლომდე დარწმუნებულიყო თითოეული მოთამაშის შესაძლებლობაში. ეს იყო ამხანაგური მატჩი, წინა ამხანაგური მოვუგეთ ლატვიას და ამ შეხვედრაში შედეგზე მეტად სხვა მომენტებზე ვიყავით ორიენტირებულნი. რა თქმა უნდა, შეხვედრა ძირითადი კალათბურთელებით დავიწყეთ და საკმაოდ კარგი თამაშიც ვაჩვენეთ. 10 ქულით დავწინაურდით, თუმცა შემდეგ შეცვლების დრო დადგა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ორმა კალათბურთელმა თამაშისას ტრავმა მიიღო. საბედნიეროდ, თორნიკე შენგელიასა და ვლადიმერ ბოისას დაზიანებები სერიოზული არ აღმოჩნდა. შენგელია მოედანზე მატჩის მეორე ნახევარში დავაბრუნეთ, ხოლო ბოისას, ისევე, როგორც ხუთეულის დანარჩენ წევრებს — დასვენების საშუალება, სათადარიგოებს კი თავის გამოჩენის შანსი მივეცით.

***— ვლადიმერ ბოისა ლიტვასთან მომავალ სპარინგ-მატჩში ითამაშებს?***

— ბოისა მწყობრშია და ლიტვასთან ითამაშებს. ისეთი ტრავმა არავის აწუხებს, რომ თამაშში ხელი შეეშალოს.

***— ლიტვასთან შეხვედრას როგორი განწყობით ხვდებით და ამჯერად რას აპირებს სამწვრთნელო შტაბი?***

— ლიტვასთან მატჩსაც ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ. ვფიქრობ, არ არის გამართლებული, რომ ასეთ შეხვედრებში ბოლომდე დაიხარჯო და ამით რისკზე წახვიდე. ეს იქნება ბოლო საკონტროლო შეხვედრა ევროპის ჩემპიონატამდე და, რა თქმა უნდა, კარგი კალათბურთის სათამაშოდ გავალთ მოედანზე. აღვნიშნავ, რომ საქართველო სულ სხვანაირ კალათბურთს ითამაშებს ოფიციალურ მატჩებში. მწვრთნელებმა განვლილი მატჩებიდან ბევრი დასკვნა გამოვიტანეთ და ვეცდებით, ოფიციალურ შეხვედრებში ეს მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

***— შეკრებას ლიტვაში აგრძელებთ?***

— 25 აგვისტოს დღის პირველ ნახევარში უკვე ვილნიუსში ვიქნებით. იქ 3 დღე დავრჩებით, 27-ში ლიტვის ნაკრებს ვეთამაშებით, 28-დან კი უკვე კლაიპედაში გადავინაცვლებთ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| რუბინი-ლიონი | 1:1 |
| ბენფიკა-ტვენტე | 3:1 |
| პლზენი-კოპენჰაგენი | 2:1 |
| უდინეზე-არსენალი | 1:2 |
| შტურმი-ბატე | 0:2 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| სანტოსი-ფლუმინენსე | 2:1 |

### კალათბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-ბულგარეთი | 101:67 |
| ისრაელი-რუსეთი | 89:79 |
| ჩერნოგორია-უკრაინა | 80:67 |
| თურქეთი-ა.ზელანდია | 70:64 |
| ლატვია-საქართველო | 84:73 |
| სლოვენია-ლიტვა | 80:66 |
| ვენესუელა-კუბა | 84:68 |
| არგენტინა-ურუგვაი | 65:87 |
| ბრაზილია-კანადა | 88:70 |
| პუერტო რიკო-დომინიკებისრესპ. | 99:77 |

### ფრენბურთი

| | |
|---|---|
| აშშ-იტალია | 3:2 |
| ბრაზილია-იაპონია | 3:0 |
| რუსეთი-სერბეთი | 1:3 |

### ჩოგბურთი

**ატპ. უინსტონ სეილემა. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ბენეტო-ანდრეევი | 2:6;6:1;7:6 |
| დოლგოპოლოვი-დიმიტროვი | 6:4;1:6;7:6 |
| ჰაასე-დულკო | 6:4;7:5 |
| ისნერი-ნიემინენი | 7:6;6:2 |
| ბაგდატისი-დარსი | 7:5;6:0 |
| ნიშიკორი-მონაკო | 0:6;3:6 |
| დავიდენკო-სტახოვსკი | 4:6;4:6 |
| როდიკი-ჰირალდო | 6:1;6:3 |

**ვტა. ნიუ ჰეივენი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ბარტოლი-ზაკოპალოვა | 6:2;2:6;6:1 |
| მედინა გარიგესი-ვესნინა | 6:2;7:6 |
| პავლუჩენკოვა-ვინჩი | 6:2;6:4 |
| ლი-კირილენკო | 6:4;7:6 |

სპორტი

# რუსეთი და უკრაინა დამარცხდნენ, სლოვენიამ ლიტვას მოუგო

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ჯგუფში ფავორიტებად მიჩნეულმა გუნდებმა გუშინ ამხანაგური მატჩები გამართეს. სლოვენიამ ლიტვა დაამარცხა, ხოლო რუსეთი თელ ავივში ისრაელთან დამარცხდა.

თელ ავივში მყოფმა რუსეთის ნაკრებმა პოლონეთის გაჭირვებით დამარცხების შემდეგ მასპინძელ ისრაელთან 10 ქულის სხვაობით — 79:89 წააგო. ისრაელს საქართველოს ნაკრები ბოლო 2 კვირაში ორჯერ შეხვდა. თავდაპირველად 13 აგვისტოს, ჰოლანდიურ ოთხთა ტურნირზე, ისრაელმა 77:72 მოუგო იგორ კოკოშკოვის გუნდს, თუმცა ქართველებმა 3 დღეში თბილისში რევანში აუღეს ებრაელებს — 97:91. თუმცა, იმის თქმა, რომ ისრაელმა რუსეთი დაამარცხა და ამით საქართველოს ნაკრების შანსები გაზარდა ერთ-ერთ ფავორიტთან, არასწორი იქნება. უბრალოდ, მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სწორი თამაშის შემთხვევაში ბრძოლა ყველა გუნდთან არის შესაძლებელი.

თბილისში 6 ქულით დამარცხებულმა ისრაელმა მოუგო ანდრეი კირილენკოიან რუსეთს. მატჩის პირველი მეოთხედი ფრედ (20:20) დასრულდა, მეორე კი მასპინძლებმა 23:18 მოიგეს. შესვენების შემდეგ სიტუაცია არ შეცვლილა. რუსებმა ვერაფერი დაუპირისპირეს გამართულად მოთამაშე ებრაელებს და დარჩენილი 2 მეოთხედიც მასპინძლებმა მოიგეს — 24:22 და 22:19 შესაბამისად.

ებრაელებს ულიდერა ლიორ ელიაჰუმ, რომელმაც 27 ქულა დააგროვა. თბილისური მატჩის ბომბარდირმა გაი პნინმა, რომელმაც ქართველებს 7 სამქულიანი ჩაუგდო, რუსებთან მხოლოდ 4 შორი სროლის მითვლა მოახერხა და 17 ქულას დასჯერდა. რაც შეეხება რუსებს, მათი ლიდერი კირილენკო იყო, რომელმაც 29 ქულა მიითვალა. უკანახაზელ სერგეი ბიკოვს 11 ქულა დაუგროვდა, ვიქტორ ხრიაპასა და ტიმოფეი მოზგოვს — 9 და 6. ეს კალათბურთელები უფრო იმიტომ გამოვყავით, რომ რუსეთის ნაკრების მთავარ ძალას ისინი წარმოადგენენ.

ლიტვას მორიგი საკონტროლო მატჩი ვილნიუსში საქართველოსთან აქვს, მანამდე კი სტუმრად ლიუბლიანაში სლოვენიას დაუპირისპირდა. შეხვედრა მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 80:66 დასრულდა.

პირველი მეოთხედი სლოვენიელებმა 26:12 მოიგეს, ტაიმის ბოლოს კი უპირატესობა 19 ქულამდე გაზარდეს — 52:33. ამის შემდეგ მასპინძლებმა თავს მოდუნების საშუალება მისცეს, თუმცა ლიტველებს საბოლოოდ მაინც იოლად მოუგეს.

— ჩვენ კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით — დაცვაში. საკმაოდ კონცენტრირებული იყო თითოეული მოთამაშე, რაც იმ შრომის შედეგია, რაც მოსამზადებელ პერიოდში გავწიეთ. ჩვენი გუნდი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს და დღევანდელმა მატჩმა ეს ყველასთვის ცხადი გახადა, — განაცხადა მატჩის შემდეგ სლოვენიელთა ბომბარდირმა ერაზმ ლორბეკმა.

უკრაინის ეროვნული ნაკრები სტამბოლში ადიდასის თასის გათამაშებაში ჩაება, რომელშიც მასპინძელთა ნაკრებთან ერთად ჩერნოგორია და ახალი ზელანდიაც გამოდიან.

მაიკ ფრატელოს გაწვრთნილი უკრიანა ჩერნოგორიას შეხვდა და, კარგად ჩატარებული პირველი ტაიმის მიუხედავად, მაინც დამარცხდა — 67:80. სლავებმა პირველი მეოთხედი 23:16 მოიგეს, დიდი შესვენებისთვის კი 7 ქულიანი უპირატესობა ოთხამდე შეუმცირდათ — 45:41. მეორე ტაიმიდან მატჩის სადავეები ჩერნოგორიელებმა მოიხელთეს და უკვე მესამე მეოთხედის ბოლოს ბოიპოვეს ლიდერობა. საბოლოოდ კი ექსიუგოსლავიელებმა დამაჯერებელი სხვაობით გაიმარჯვეს.

# მიხეილ მესხის სტადიონი უეფას რეკომენდაციების მოლოდინშია

24 აგვისტოს უეფას სტადიონებისა და უსაფრთხოების კომიტეტის წევრი ტრიგვე ბორნო და უეფას ადმინისტრაციის წარმომადგენელი დავით პეტრიაშვილი მიხეილ მესხის სტადიონს ეწვივნენ და სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერეს.

ეს სამუშაო ვიზიტი, სავარაუდოდ, ძალზე მნიშვნელოვანი უნდა აღმოჩნდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის, ვინაიდან, ძალიან მალე, მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, მიხეილ მესხის განახლებულ არენას ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოსგან ოთხი ვარსკვლავის მიღების შანსი აქვს.

ტრიგვე ბორნო თითქმის ორი საათის განმავლობაში დიდი ყურადღებით ეცნობოდა სტადიონზე მიმდინარე და უკვე დასრულებულ სამუშაოებს. სტუმარმა დაწვრილებით გამოიკითხა ყველაფერი, თითოეული დეტალი და წვრილმანი. ბორნოს ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა, აღნიშნა, რომ სამუშაოები ძალზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მაქსიმალურად იცავს უეფას მიერ დადგენილ წესებსა და ნორმებს.

ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი კიდევ წინაა — ბორნო და დავით პეტრიაშვილი რეკომენდაციებს შეიმუშავებენ. რეკომენდაციები კი ორი სახის იქნება. პირველი — რა უნდა გააკეთოს სფფ-მ, რომ 2 სექტემბრის ევროშესარჩევი მატჩის სათანადოდ მასპინძლობა შეძლოს მიხეილ მესხზე და მეორე — ზოგადად, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ სტადიონმა ოთხი ვარსკვლავი უპრობლემოდ მიიღოს.

ბორნო და პეტრიაშვილი ეროვნულ სტადიონს ეწვივნენ, სადაც ევროპის ლიგის ფლეი ოფის განმეორებითი მატჩის წინ ჯერ თბილისის დინამომ ივარჯიშა, ხოლო შემდეგ — საბერძნეთის აეკ-მა. ნორვეგიელმა სტუმარმა „ეროვნულზე" ყველაფერი დაათვალიერა და მასპინძლებს შენიშვნაც მისცა, განათება რატომ არ არის შესაბამის დონეზე ჩართულიო.

ერთი დღით ადრე კი ბორნო და პეტრიაშვილი ზესტაფონში იმყოფებოდნენ და დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი დაათვალიერეს. ზესტაფონელებსაც სურთ, რომ მათმა საშინაო არენამ 4 ვარსკვლავი მიიღოს, რათა ევროტურნირების მატჩები სხვა სტადიონზე აღარ ჩაატარონ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

საერთაშორისო

# დიდი ბრიტანეთი ლიბიელ ამბოხებულებს კადაფის ძებნაში ეხმარება



მოამარ კადაფი

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ლაიამ ფოქსმა დაადასტურა, რომ ნატო ლიბიელ მეამბოხეებს მოამარ კადაფისა და მისი ვაჟების ძებნაში ეხმარება.

ამასთან, მას ბრიტანული სპეცდანიშნულების რაზმების კადაფის დატყვევების ოპერაციაში უშუალო მონაწილეობის ინფორმაციისათვის კომენტარი არ გაუკეთებია. ამის შესახებ ბრიტანულმა გაზეთმა დეილი ტელეგრაფმა ხუთშაბათს განაცხადა.

ლიბიელმა მეამბოხეებმა კადაფის დატყვევებისათვის ჯილდოდ 1.7 მილიონი დოლარი დააწესეს. ოპოზიცია მზად არის, ამნისტია გამოაცხადოს მისი გარემოცვის წევრებისათვის, თუკი ისინი ყოფილ დიქტატორს მოკლავენ ან დაატყვევებენ. ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ბიბისის ინტერვიუში განაცხადა, რომ კადაფის დატყვევებამდე ლიბიის მშვიდობიან მოსახლეობას საფრთხე ემუქრება.

მისი თქმით, წინააღმდეგობის კერები ლიბიაში კვლავინდებურად არსებობს და ნატო ოპერაციას მათ გაქრობამდე გააგრძელებს.

იტალიური გაზეთის, „კორიერე დელა სერას" ინფორმაცით, ლიბიაში გაათავისუფლეს ოთხი იტალიელი ჟურნალისტი, რომლებიც კადაფის მომხრეების მიერ იყვნენ დატყვევებული.

ორი მათგანი ამ გაზეთის თანამშრომელია, ერთი „ლა სტამპას" კორესპონდენტია, ხოლო მეოთხე — კათოლიკური გაზეთის, „ავენირის" თანამშრომელი.

ვრცელდება აგრეთვე ინფორმაცია არაბული ქვეყნების ლიგის მიერ ლიბიის ეროვნული გარდამავალი საბჭოს, როგორც ლეგიტიმური მთავრობის, აღიარების შესახებ.

დიდი ბრიტანეთი ლიბიაში ნაოს ოპერაციაში აქტიურად მონაწილეობს. ვენის უშიშროების საბჭოს სხდომის დაწყებამდე თავდაცვის მინისტრმა ლაიამ ფოქსმა განაცხადა, რომ კადაფის მომხრეების ჩახშობაში ნატომ მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს.

მან ასევე განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, კადაფის ადგილსამყოფელი უცნობია, მისი რეჟიმი დაეცა.

მეამბოხეების მიმართ კეთილგანწყობილი ბიზნესმენების მიერ „ცოცხალი ან მკვდარი" კადაფისათვის 1.7 მილიონი დოლარი ჯილდოს დაწესებას იგი დადებითად გამოეხმაურა.

მეამბოხეების პრესმდივნის გუმა გამათის სიტყვით, ეს წინადადება უპირველეს ყოვლისა კადაფის უახლოესი გარემოცვის მისამართით გავრცელდა, იმ პირების მისამართით, რომლებიც კადაფისთან ერთად ლიბიელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში არიან გარეული.

გრდა ამისა, მეამბოხეებმა კადაფის, ხელისუფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ქვეყნიდან გასვლის შესაძლებლობა აღუთქვეს. ამასთან დაკავშირებით გამათმა განაცხადა, რომ კადაფი სავარაუდოდ ამ წინადადებას არ მიიღებს.

გ.თ.

# ირანს რუსული სარაკეტო კომპლექსების სასამართლოს გზით მიღება სურს



ირანის ხელისუფლებამ რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი წარადგინეს. რუსეთში ირანის საელჩოს წარმომადგენლების განცხადებით, მიზეზი ის გახლავთ, რომ ოფიციალურმა მოსკოვმა ირანისათვის ეს-300 საზენიტო კომპლექსების მიწოდებაზე უარი განაცხადა.

სარჩელის წარდგენით ირანი ცდილობს მოსკოვს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად შემოღებული სანქციებიდან ეს-300-ის მიწოდების პუნქტის ამოღებაში დაეხმაროს.

ირანის ელჩმა რუსეთში მაჰმუდ რეზა საჯადიმ განაცხადა, რომ იურიდიული თვალსაზრისით ეს-300-ის ირანისათვის მიწოდება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ფარგლებში არ ხვდება. სარჩელი ირანმა იმიტომ წარადგინა, რომ რუსეთმა იარაღის მიწოდება შეძლოს და იურიდიული კოზირი მიიღოს.

ის, თუ რომელ საერთაშორისო სასამართლოში იქნა წარდგენილი სარჩელი, არ განუცხადებიათ.

მოსკოვს თეირანის გადაწყვეტილებისათვის კომენტარი არ გაუკეთებია. შეიარაღების ექსპორტის სფეროს ერთ-ერთი მაღალი რანგის წყაროს თანახმად, რუსეთი ირანს ეს-300 კომპლექსებს არავითარ შემთხვევაში არ მიაწვდის.

მისი თქმით, ეს-300 კომპლექსების მიწოდების კონტრაქტი ამჟამად გაყინულია, ამიტომ მის შესრულებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

თეირანისათვის ეს-300 კომპლექსების მიწოდება მოსკოვმა გასული წლის სექტემბერში აკრძალა. ირანს ამ კომპოლექსებით საკუთარი ბირთვლი ობიექტების საჰაერო დაცვის უზრუნველყოფა სურდა.

რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა მაშინ განაცხადა, რომ ირანისათვის ეს-300 კომპლექსების მიწოდება გაეროს მიერ 2010 წლის 9 ივნისს მიღებული ნომერი 1929 რეზოლუციით გათვალისწინებული სანქციების ქვეშ დანამდვილებით ხვდებოდა.

კონტრაქტით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო რუსეთმა თეირანს განუცხადა, რომ მზად არის ავანსად შეტანილი 166.8 მილიონი დოლარი დაუბრუნოს. ირანს ამ წინადადებით ჯერ არ უსარგებლია.

გაეროს რეზოლუციის მიღებამდე რამდენიმე კვირით ადრე ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი ამტკიცებდა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული სანქციები რუსეთსა და ირანს შორის დადებული კონტრაქტების შესრულებაზე ზეგავლენას ვერ მოახდენდნენ.

იმავდროულად, რუსეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების საბჭომ თავის დროზე აღნიშნა, რომ რუსეთი გარდა საიმედო ეკონომიკური პარტნიორისა, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრიცაა და ამ საკითხს პასუხისმგებლობით ეკიდება.

მიმომხილველების თქმით, რუსეთის ამ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა ისრაელის ხისტმა პოზიციამაც მოახდინა, რომელმაც განაცხადა, რომ ირანის ტერიტორიაზე რუსული სარაკეტო კომპლექსების პირველი პარტიის ჩატანის შემთხვევაში ირანს თავს დაესხმოდნენ.

გაეროს რეზოლუციის მომზადების დროს რუსეთმა განაცხადა, რომ ირანის წინააღმდეგ პარალიზებადი სანქციების გამოყენების წინააღმდეგია და ამ ქვეყნისათვის სარაკეტო კომპლექსების მიწოდების გეგმებზე უარს არ ამბობს.

გ.თ.

# სამგლოვიარო განცხადებები

თანაგრძნობას ვუცხადებთ ლადო და ეკა ყუფარაძეებს დედის

**ნადია (ნათია) ყუფარაძის**

გარდაცვალების გამო.

*ვადიმ გეჯაძის გამომცემლობის თანამშრომლები, მეგობრები*



## ნუგზარ გაბრიჩიძის ხსოვნას

სულით, გულით, გონებით და ცხოვრების წესით ნათელი კაცი – ასეთად დარჩება ბატონი ნუგზარი ყველა იმ ადამიანის ხსოვნაში, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება ნუგზარ გაბრიჩიძესთან. უკვე 40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ბატონი ნუგზარი ჩვენ გვერდით აღარ არის და ეს დრო მძიმეა ჩვენთვის, რადგან მონატრება დღითიდღე მძაფრდება. ასე იქნება ყოველთვის, რადგან შეუძლებელია, მტკივნეულად არ დაგაკლდეს ნუგზარ გაბრიჩიძისთანა მეგობრის უშურველი თანადგომა ჭირსა თუ ლხინში. დიდი ადამიანობა და პროფესიონალიზმი ერთად – ეს ის თვისებებია, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ნუგზარ გაბრიჩიძის ძალიან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. გარდა იმისა, რომ ბატონი ნუგზარის სახით მისმა სანიმუშო ოჯახმა და ფართო სამეგობრომ დაკარგა ძვირფასი ადამიანი, სამწუხარო ისიცაა, რომ ნუგზარ გაბრიჩიძე უდროოდ დააკლდა ქვეყანასაც, რადგან ქვეყნისთვის ამ ადამიანს ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. უფალმა დაამკვიდროს მისი სული, „სადაც მართალნი განისვენებენ".

*ყოფილი კოლეგები*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# TV პროგრამა

## პარასკევი 26 აგვისტო

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "დაკარგული კიდობნის ძიებაში" **08.30** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **09.00** მხ. ფილმი **"ფიფქია"** **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **13.30** ავტოპილოტი **14.30** ვაშინგტონი დღეს **15.00** დოკ. ფილმი "დაკარგული კიდობნის ძიებაში" **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **17.30** **ძიუდო**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები **21.00** სერიალი **"კრიმინალური სეზონი"** **22.00** ერთი გამარჯვების ისტორია **22.40** **ფეხბურთი**. უეფას სუპერთასი (პირდ.) **00.35** წითელი ზონა **01.20** მხ. ფილმი **"დედილო კიუსტერსის ზეასვლა"** (სუბტ.) **02.05** მოამბე **02.25** მხ. ფილმი **"თვალი თვალის წილ"** (12) (სუბტ.) **04.10** მხ. ფილმი **"ზნედაცემული"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **20.00** **ძიუდო**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები **20.25** მხ. ფილმი **"ცასა და მიწას შორის"** **01.00** მხ. ფილმი **"გარიყული"**

**08.00** კურიერი **08.20** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" **09.00** სერიალი **"კლუბი"** **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერიალი **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სერ. **"მაშველები"** **13.30** ქართ. ფილმი **"მანანა"** **15.40** პროფილი (გან.) **18.45** ამერიკის სასაცილო ვიდეოები **19.45** სერიალი **"ახალგაზრდა ქვრივი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ (გან.) **23.00** **ჩემპიონთა ლიგა**. **00.40** მელომანია (გან.) **01.40** ექსტრემალური შეჯიბრებები **03.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ბარბი რაპუნზელი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **09.15** ან. ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. **"ჰანა მონტანა"** **10.00** სერიალი **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერიალი **"სიყვარულის ზღვა"** **12.50** სერ. **"ფული და სექსი"** **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** უცნობი საქართველო **15.10** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერიალი **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** იუმორინა (გან.) **00.00** მხ. ფილმი **"კატა ცხელ სახურავზე"** (ე. ტეილორი) (სუბტ.) **02.00** ფლეიბოი იმედზე **02.55** მხ. ფილმი **"ბრილიანტის ამბავი"** (12) (ბ. ჰოვარდი) (სუბტ.) **04.35** მხ. ფილმი **"სამუშაო"** (15) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "შეჰერაზადა" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი **"ფანტაზიების კუნძული"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** დოკ. ფილმი "ტაიმსლოტი-დრამა" **16.00** გადაცემა "გუნდი" **17.10** სერიალი **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"ელიზა"** **21.00** სერიალი **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"სენიორა პრეზიდენტი"** **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერიალი **"მოსკა და სმიტი"** **15.15** სერიალი **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** "დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "კოდორის გმირები" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ხევისბერი გოჩა"** **13.30** კონცერტი – მ. ჩარკვიანი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ჭირვეული მეზობლები"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"მოცურავე"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.20** ფერისცვალება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.30** განათიადის კოლაჟი **01.25** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 აგვისტო**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6483
ევრო —2,3815
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 14-15

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 23-26, ღამით — 15-18

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 8-13

## ამინდის პროგნოზი 26 აგვისტოსთვის




# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი **გუმბათი**

ფასი: 69 თეთრი

**თამარ ჭოხონელიძის ოჯახში დიდი სიწმინდე ინახება**

**ბორის ბედიას ოჯახის შექმნის ეშინია**

**სალომე ქათამაძე: „მე ნანუკა ჟორჟოლიანის აღმოჩენა ვარ“**



# სოხუმი ლეგიონერებით შეივსო



საკალათბურთო კლუბმა სოხუმმა, რომელიც ევროჩელენჯისა და საქართველოს ჩემპიონატის თამაშებისათვის ემზადება, გუნდში ლეგიონერების მიღება დაასრულა. კლუბმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა დიდი გამოცდილების მქონე კიდევ ორ ამერიკელ კალათბურთელთან — გრეგორი სტიემსმასა და მარკ სალიერსისთან. ისინი სოხუმის გუნდთან ერთად უკვე სექტემბრის დასაწყისიდან დაიწყებენ ვარჯიშს. ამჟამად გუნდის შემადგენლობაში 5 ამერიკელი ლეგიონერია — აგვისტოს პირველ ნახევარში ერთწლიანი კონტრაქტები გაფორმდა ბრენდონ გეის, ფრენკ რობინსონსა და პიერ პირსთან.

**მარკ სალიერსი:**

დაიბადა 1979 წლის 28 თებერვალს, ჩიკაგო, აშშ. სიმაღლე — 205 სმ.

გასულ სეზონში სალიერსი იტალიის სერია ა-ს გუნდ ბიელაში თამაშობდა და მოედანზე საშუალოდ 30 წუთს ატარებდა, რომლის განმავლობაში 11,1 ქულას, 4,6 მოხსნასა და 1,6 პასს აგროვებდა.

სალიერსი სულ მალე შეუერთდება გუნდს, ხოლო დანარჩენი ლეგიონერები ადგილზე არიან და ვარჯიშობენ. თუმცა, ჯერ სოხუმელთა მთავარი მწვრთნელი აინარს ბაგაცკისი სამშობლოშია და ლატვიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატისთვის ამზადებს.

მ. ჟ.

# ასტროპროგნოზი 26 აგვისტოსთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — არ გადაიღალოთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს, კმაყოფილი ხართ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **სასწორი** — იაქტიურეთ, არ დაკარგოთ დრო. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია. **თხის რქა** — არ ღირს ჭორების აყოლა, მშვიდად იყავით. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **თევზები** — საღამო მშვენიერი იქნება, თავს ბედნიერად იგრძნობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 2. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 5. რბილი, ფერადი ფანქრები ფერწერისათვის; 8. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველებური სახელწოდება; 9. გერმანიასა და ავსტრიაში გავრცელებული კომიკური ოპერების სახელწოდება; 12. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 14. კაზაკთა სოფელი უკრაინაში; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებლებთან ბრძოლა შხამ-ქიმიკატების შესხურებით; 6. აზრის არაპირდაპირ, იგავურად გამოხატვა მხატვრულ ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 7. ნაწყვეტი კინოფილმიდან, რომანიდან; 9. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 10. მდინარის ქვიანი ნაპირი; 11. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 13. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 15. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 17. ლიხტენშტეინის მთავართა ტიტული; 18. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 19. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 20. მუსლიმანთა რელიგიური სამართალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# იუმორი



პოკერის თამაში. უცბად ერთ-ერთმა მოთამაშემ რევოლვერი იძრო და მეორეს მიუშვირა:

— ვერ ვიტან შულერებს. ერთი ამიხსენი, საიდან გაქვს ბანქო, რომელიც მე შენთვის არ დამირიგებია?

***

ქმარი ყვირის:

— ვინ არის ამ სახლში უფროსი?

ცოლი მშვიდად პასუხობს:

— მე! რა იყო?

— არა, არაფერი, ისე ვიკითხე...

***

ორი ქალაქელი ბიჭუნა პირველად მოხვდა სოფელში და ნანახით აღფრთოვანებული შინ დაბრუნდა. უფროსი დედას ეუბნება:

— დედა, იცი, ფერმაში ღორი ვნახეთ, შენზე გაცილებით სქელი და მსუქანია.

დედა ისტერიკაში ჩავარდა, შვილს წაუთაქა და ატირდა. პატარა მის დამშვიდებას ცდილობს:

— დამშვიდდი, დედიკო, შენზე სქელი და მსუქანი ამქვეყნად არავინაა...

***

— კურდღლების მოშენება როგორ უნდა, იცი?

— ხელი არ უნდა შეუშალო და თავად მოახერხებენ...

# ირაკლი ჩარკვიანი სცენას უბრუნდება

*ეკა ირემაშვილი*

3 სექტემბერს სვანეთში უნიკალური პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული სააგენტო და „ალტერვიჟენ გრუპი“ 4-წლიანი პაუზის შემდეგ სვანეთს უბრუნებენ ფესტივალს „სვანსეტი“, რომელიც პირველად 2007 წელს ჩატარდა და ფესტივალის სტუმართა მხრიდან დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

წლევანდელი ფესტივალი „სვანსეტი 2011“ მესტიაში ჩატარდება და მასზე რამდენიმე ახალი პროექტის პრეზენტაცია შედგება.

წელს ფესტივალის ფარგლებში სამი მუსიკალური პროექტის წარდგენა მოხდება — „ალტერვიჟენ გრუპი“ და „ქართული ჩანაწერები“ წარმოადგენს ირაკლი ჩარკვიანის ახალ პროექტს — „თეთრი ღმერთი“. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ირაკლი ჩარკვიანის ექსპერიმენტული კონცერტი „პროექციითა და ვიზუალური ეფექტების საშუალებით გაცოცხლებული „მეფე“. „თეთრი ღმერთი“ შეიქმნა მისი გარდაცვალების შემდეგ და მასში შესულია დღემდე გამოუქვეყნებელი ლექსები, კომპოზიციები და ძველი მასალის გამოყენებით შექმნილი ტრეკები.



ირაკლი ჩარკვიანი

ირაკლი ჩარკვიანის ახალი პროექტის პარალელურად სცენას დაუბრუნდება ჯგუფი „სოფტ ეჯექტი“, რომელიც 5-წლიანი პაუზის შემდეგ სრულიად ახალ პროექტს „ესქკლემეიშან. გრინ ენდ რიპო“ შესთავაზებს მსმენელს. „სოფთ ეჯექტის“ გარდა, ფესტივალზე დაუკრავს ჯგუფი „მწვანე ოთახიც“.

წლევანდელი ფესტივალი „სვანსეტი 2011“, რომელიც „ალტერვიჟენ გრუ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# როგორ გადავლახოთ ურთიერთგაუგებრობა

**ტესტი**

***1. საუბრის დროს მოსაუბრეს თვალებში თუ უყურებთ?***

ა. ყოველთვის. ბ. ხშირად. გ. ხანდახან.

***2. თუ შეგიძლიათ ურთიერთობა ადამიანთან, ვინც „სხვა ენაზე“ ლაპარაკობს?***

ა. არ შემიძლია ბ. არა მგონია. გ. არ მიჭირს.

***3. თუ ადამიანი საუბრისას ჟესტიკულირებს, გაღიზიანებთ?***

ა. არა. ბ. ცოტა. გ. დიახ.

***4. ზოგიერთ ადამიანთან ურთიერთობისას უყურადღებო ხართ?***

ა. არ შემიმჩნევია. ბ. იშვიათად. გ. დიახ.

***5. აღიარებთ, რომ ავტორიტეტული ადამიანის აზრს თქვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს?***

ა. მთავარია, რას ლაპარაკობს. ბ. გარკვეულწილად. გ. დიახ.

***6. ბრაზდებით, როდესაც ნაცნობები აშკარა რამეს ვერ იგებენ?***

ა. არა. ბ. რა თქმა უნდა. გ. მაშინვე ვბრაზდები.

***7. გაღიზიანებთ ზოგიერთი ადამიანისათვის დამახასიათებელი ურთიერთობის მანერა?***

ა. ხანდახან. ბ. ისევე, როგორც სხვას. გ. არ ვაქცევ ყურადღებას.

**პასუხები**

**7-11 ქულა:** ადამიანებთან ურთიერთობისას მოთმინებას იჩენთ, ცდილობთ, ინფორმაცია ზუსტად აღიქვათ, უყურადღებობით მოსაუბრეს არ აწყენინოთ.



**11-16 ქულა:** დაცვითი მექანიზმები არ გაძლევთ უფლებას, ზედმეტად მიმნდობი იყოთ, არ ითვისებთ ინფორმაციას, რომელიც არ გსიამოვნებთ.

**17-21 ქულა:** დაუდევარი ხართ ურთიერთობისას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არ აქცევთ ყურადღებას, რას გეუბნებიან, ან რას ლაპარაკობთ. ხშირად უხერხულ სიტუაციაში შეიძლება ჩავარდეთ.

გ. თ.